ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

თამთა ბაკარანძე

სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების რეპრეზენტაცია რეგიონულ ონლაინმედიაში

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:მარი წერეთელი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მოცემული საბაკალავრო ნაშრომში შესწავლილია თანამედროვე ქართულ ონლაინმედიაში სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების სპეციფიკა.

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მიიღო „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ვრცელდება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უსახლკარო, სოციალურად დაუცველ, სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებზე. კანონის მიზანია, სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის შექმნით მოსახლეობის მიზნობრივი, სამართლიანი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა. (გზირიშვილი, 2012) შესაბამისად, კანონი ავალდებულებს შესაბამის სამსახურებს მოაწესრიგონ საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებული საჭიროებები.

ნაშრომში შესწავლილია, თუ როგორ შუქდება ეს საკითხი თანამედროვე რეგიონულ ონლაინმედიაში, კერძოდ, კვლევის ამოცანაა სამი რეგიონული ონლაინგამოცემის - „გურია NEWS-ის”, „ბათუმელებისა“ და „სამხრეთის კარიბჭის“ მაგალითზე გამოვიკვლიოთ, თუ რა დროს უთმობს 2022 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ აღნიშნული გამოცემები აღნიშნულ თემას. კვლევის შედეგად განისაზღვრება : რა სიხშირითა და სპეციფიკით შუქდება სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემები და ამ საკითხთან დაკავშირებული თემები, ძირითადად, რა სახის მასალები გვხვდება, რომელ წყაროებს ეყრდობიან მოცემული ონლაინგამოცემები. კვლევით დადგინა, რომ სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქება მედიისთვის არც თუ ისე აქტუალური და პრიორიტეტულია. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების შესახებ პუბლიკაციები მეტწილად მოვლენური ხასიათისაა. თითოეული გამოცემა ერთმანეთისგან განსხვავებულად, მაგრამ მსგავსი ტენდენციით აშუქებს სოციალურად დაუცვლელ პირთა პრობლემებს. გამოიკვეთა

ხარვეზები, რომლებიც ახასიათებს პუბლიკაციებს მოცემულ თემაზე - მასალათა სიმცირე, არასრულფასოვნება, წყაროთა ბალანსი და სხვ.

საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი; ამასთან სიღრმისეული ინტერვიუს საკვლევ პერიოდად შერჩეულ იქნა დრო - 2022 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 01 იანვრამდე.

სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების საკითხი რეგიონულ მედიაში შესწავლილი დღემდე არ ყოფილა. მოცემული კვლევით გვაქვს შესაძლებლობა, გამოვკვეთოთ თავისებურებები, მსგავსება-განსხვავებები და გამოვიტანოთ ნიშანდობლივი დასკვნები.

სარჩევი

შესავალი 5

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 8

თავი 2. კვლევის დიზაინი 15

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია 17

თავი 4. კვლევის შედეგები 21

4.1 „გურია NEWS” 21

4.2 „სამხრეთის კარიბჭე“ 33

4.3 „ბათუმელები“ 43

4.4 „გურია NEWS”- ის, „სამხრეთის კარიბჭის“ და „ ბათუმელების“ შედარებითი ანალიზი 51

4.5. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები 54

დასკვნა 59

რეკომენდაციები 61

გამოყენებული ლიტერატურა 63

შესავალი

ადამიანისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რამდენად დაცულად გრძნობს ის თავს, რა პირობებში ცხოვრობს, როგორია მისი ეკონომიკური მდგომარეობა. ზრუნავს თუ არა მასზე, როგორც რიგით მოქალაქეზე, სახელმწიფო და სხვა უამრავი კითხვა, რომელიც ამ თემას მჭიდროდ უკავშირდება. სოციალური საკითხები და ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები განვითარებული ქვეყნებისთვის ძალზე პრიორიტეტულია. რასაკვირველია, მას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სოციალური საკითხები საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია,რომლის ეპიცენტრშიც შესაძლოა, ნებისმიერი ადამიანი აღმოჩნდეს. სოციალური პრობლემების უგულებელყოფა კი ამ მხრივ ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს.

სოციალურად დაუცველი ადამიანების, მათ შორის მოხუცების, უსახლკაროების, უმუშევრების, შშმ პირების და ა.შ. პრობლემათა რიცხვი არაერთია დაწყებული საცხოვრებლიდან დამთავრებული მინიმალური ყოველდღიური საჭიროებით. ეს საკითხები ხშირად სახელმწიფოსა და არამხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება. ცხადია, რთული პრობლემა მისი უარყოფით ვერ გადაიჭრება, შესაბამისად, ამ შემთხვევაში მედიას უდიდესი როლი ეკისრება. მას შეუძლია სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრებს უბიძგოს გადაჭრის გზების ძიებისკენ.

სოციალურად დაუცველ პირთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება, რაც პირდაპირპროპორციულია ქვეყანაში სიღარიბის დონის ზრდასთან. ეს კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ქვეყანაში კრიტიკულია სიღარიბის დონე და სწორედ მედია გახლავთ ის საშუალება, რომელსაც ძალუძს, გაავრცელოს, საზოგადოებამდე მიიტანოს ადამიანთა სატკივარი.

საქართველოს კანონმდებლობით სოციალურად დაუცველი არის ფიზიკური პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები (სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდი). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის(საქსტატი) 2022 წლის ოფიციალური მონაცემებით რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირი იყო:

- თბილისი - რეგისტრირებული 70928; მიმღები 36585
- აჭარა - რეგისტრირებული 37058; მიმღები 13681
- გურია - რეგისტრირებული 17839; მიმღები 4789
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - რეგისტრირებული 9220; მიმღები 4195
- კახეთი - რეგისტრირებული 38746; მიმღები 13824
- იმერეთი - რეგისტრირებული 58631; მიმღები 17651
- მცხეთა-მთიანეთი - რეგისტრირებული 114854; მიმღები 3975
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - რეგისტრირებული 40971; მიმღები 16361
- სამცხე-ჯავახეთი - რეგისტრირებული 14318; მიმღები 3881
- ქვემო ქართლი - რეგისტრირებული 37421; მიმღები 20655
- შიდა ქართლი - რეგისტრირებული 32890; მიმღები 14267

თითოეულმა ჟურნალისტმა თავად უნდა შექმნას საკუთარი წესები, საკუთარი სტანდარტები და საკუთარი კარიერა - აღნიშნავდა ამერიკელი ავტორი ბილ კერტისი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტი უნდა იცავდეს პრინციპს : „ჟურნალისტი აგებს პასუხს საკუთარი სინდისის წინაშე“ (კოვაჩი, ბ. როზენსტილი ტ. 2006)

დღეს არსებული მდგომარეობით, მნიშვნელოვანია დაიხვეწოს და განვითარდეს უშუალოდ საკანონმდებლო პროცესი. ამ კუთხით ჯერ კიდევ გადაუჭრელია ისეთი ფუნდამენტური საკითხები,როგორიცაა: ჯანმრთელობისა და სოციალური

უფლებების დაცვა, საცხოვრებლითა და შესაბამისი სამუშაო ადგილით დაკმაყოფილება. დაბრკოლებათა უმეტეს ნაწილს კი უყურადღებობა განაპირობებს- მაშინ, როდესაც პრობლემა ხილული არ არის, რთულდება მისი გადაჭრა, რასაც საბოლოოდ სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

სოციალური საკითხების გაშუქებისას მედიის ყურადღების ცენტრში მეტწილად, დედაქალაქია ხოლმე მოქცეული, არადა ვიცით, რომ რეგიონებში არსებული სოციალური ფონი გაცილებით მძიმეა. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია, წინა პლანზე წამოვწიოთ სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გაშუქება რეგიონულ მედიაში. ონლაინპლატფორმებს ხელმისავწდომობის საკმაოდ დიდი რესურსი აქვთ, ჩვენ გვაქვს საშუალება, მას თვალი ვადევნოთ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან. შესაბამისად, რეგიონული ონლაინმედიის როლი, მოახერხოს საზოგადოების სწორი და დროული ინფორმირება, უდიდესია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მედიაში სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების შესწავლის მიზნით კვლევები ნაკლებად ტარდება. რაც შეეხება რეგიონულ მედიას, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა კვლევა, რომელშიც დეტალურადაა შესწავლილი რეგიონულ მედიაში არსებული ვითარება ამ მხრივ. ეს მდგომარეობა საგანგაშოა იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც აღვნიშნეთ, სოციალურად დაუცველ პირთა მაღალი მაჩვენებელი სწორედ რეგიონებშია.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

სოციალური თემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები ქართული რეალობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს და ის მუდმივად საზოგადოებრივი მნიშნელობის მქონეა. შესაბამისად, სოციალური საკითხები ხშირად მოქცეულა მკვლევართა ფოკუსში. ამრიგად, მოცემული რელევანტური მასალების გაცნობა და სიღრმისეული ანალიზი ჩვენი კვლევის ამოსავალი წერტილია.

უპირველ ყოვლისა, აღსანიშნავია,რომ საქართველოს კონსტიტუცია,როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, სოციალური სახელმწიფოს როლს ცალსახად განამტკიცებს. კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განმარტების კუთხით მწირია. ერთადერთი განმარტება ამ კუთხით გვხვდება 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებულ მოსაზრებაში, როდესაც მოსამართლეები მიუთითებენ: „მართალია, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, როგორც სახელმწიფოს მიზანი, მაგრამ ეს არცერთ შემთხვევაში არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ეს პრინციპი არის მხოლოდ დეკლარაციული, პროგრამული დებულება, რომელიც კონკრეტულ დროსა და ვითარებაში სახელმწიფოს არაფერს ავალდებულებს. კონსტიტუცია, რომლის ძირითადი დანიშნულება საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის საფუძვლების განსაზღვრაა, არ შეიძლება

შეიცავდეს არარეალურ მიზნებს. ამ თვალსაზრისით, გარკვეული ვალდებულებების არარსებობა, თავად მიზანს დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.“ „ზოგადად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ემსახურება, უპირველესად, უსაფრთხოების, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით, ეს არის სახელმწიფოს მუდმივი მიზანი. ამიტომ ამ პრინციპის ძირითად არსს წარმოადგენს: 1. სოციალური უსაფრთხოების შექმნა; 2. სოციალური სამართლიანობის მიღწევა; 3.საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა; 4. ზოგადი კეთილდღეობის დამკვიდრება საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპის პრაქტიკული რეალიზებისთვის სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებაა მუდმივი ძალისხმევა. აქ სახელმწიფოს არჩევანის უფლება არა აქვს, რადგან ამ საკითხებზე არჩევანის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს არჩევანს სოციალური სახელმწიფოს შექმნასა და ამ მიზანზე უარის თქმას შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ქეთევან ერემაძის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით).

რთული პრობლემების აღმოფხვრა მისი იგნორირებით ვერ მოხერხდება. „ყველა ადამიანი თავისუფალი და თანაბარია თავისი უფლებებითა და ღირსებით“ – ადამიანის უფლებების ამ ძირითად თეზას არღვევს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან გადაჯაჭვული სოციალური მარგინალიზაცია, დისკრიმინაცია, უსახლკარობა, უშევრობა, სიღარიბე, გარიყვა და იზოლაცია, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში ჩვეული სურათია“ (ცისკარიშვილი, 2017).

საინტერესოა, რამდენად არეგულირებს მედიასამართალი სოციალური საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. საქართელოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების თავისუფლების შესახებ“ მედია განმარტებულია, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი (მუხლი 1 „ღ“ ქვ.პუნქტი), თუმცა „საქართველოს მოქმედ

კანონმდებლობაში არაფერია მითითებულ ბეჭდური მედიის საშუალებით ან ინტერნეტით სოციალური საკითხების გაშუქების თაობაზე. ამ მხრივ, საკითხის გადაწყვეტისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამართლისა და კანონის ანალოგია, რომლის მიხედვითაც, ბეჭდურმა მედიის საშუალებამ (ასევე ინტერნეტ მედია საშუალებამ) უნდა დაიცვას მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპი ნებისმიერი ინფორმაციის გასაჯაროებისას.“ (ჯორბენაძე, 2014).

საქართველოში იყო რამდენიმე მცდელობა, თუმცა, ჯერაც არ არსებობს პროფესიული სტანდარტების ერთიანი დოკუმენტი, რომელსაც ყველა სახის მედია - ბეჭდური და ელექტრონულიც, სახელმძღვანელო სტანდარტებად მიიჩნევდა (ცისკარიშვილი, 2017). სოციალური დახმარება მოიაზრება, როგორც საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილების მექანიზმი, რომელიც მიმართულია გაჭირვებაში მყოფნი ადამიანების (ოჯახების) გაუმჯობესებისკენ, რომელთაც დახმარების გარეშე სიღარიბე ემუქრებათ. სოციალური დახმარება შეიძლება იყოს როგორც ფულადი, რომელსაც შემწეობას ვუწოდებთ, ასევე არაფულადი, რომელიც გამოიხატება შეღავათებით და სიციალური სერვისებით.(გზირიშვილი,2012)

MDF -ის მიერ ჩატარებული კვლევის „სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში,“ საგანი იყო სატელევიზიო არხების საინფორმაციო პროგრამებში სოციალური თემატიკის გაშუქება. კვლევაში ნათქვამია, რომ ამ მარათონში სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებები პოლიტიკური მოვლენების გაშუქებაზე არიან ფოკუსირებული და ნაკლებ დროსა და ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებს. შესაბამისად, ტელემაყურებელი ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარეშე რჩება. საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ერთ-ერთ ასეთ თემას სოციალური საკითხები წარმოადგენს. საერთოდ, ტელევიზიების მიერ სოციალური თემების პოლიტიზების ტენდენცია ძალზე თვალშისაცემია. სოციალურ სიუჟეტებში გაშუქებული საკითხების დიდი

უმრავლესობა პოლიტიკურ აქტივობასთან თუ სამთავრობო ინიციატივებთან დაკავშირებით ანდა პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული. (მსხილაძე, 2011)

სოციალური თემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები ქართული სინამდვილის ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა სოციალური საკითხების გაშუქების შესწავლის მიზნით 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩაატარა ქართული ბეჭდური და ტელემედიის მონიტორინგი. სოციალურად დაუცველი ფენა მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებს მოიცავს. კვლევის მსვლელობისას საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა ყურადღება სამ მათგანზე გაამახვილა:

1.სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა;

2.პენსიონერები;

3.მიუსაფარი ბავშვები.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებულმა კვლევამ „სოციალური საკითხების გაშუქება ქართულ ბეჭდურ და ტელემედიაში“ აჩვენა, რომ სოციალური თემები ქართულ მედიაში არასათანადოდ შუქდება. მძიმე სოციალური ფონი ტელევიზიით აისახება მხოლოდ ისეთ სიუჟეტებში, რომლებშიც სახელისუფლებო სტრუქტურები ან ქველმოქმედი ადამიანები სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის გარკვეულ აქციებს მართავენ. არც ერთ სტატიასა და სიუჟეტში არ არის საუბარი თავად პრობლემაზე. ლაპარაკი სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებზე მხოლოდ ირიბად მიმდინარეობს და მათ არ ეძლევათ კომენტარის გაკეთების საშუალება თუ არ ჩავთვლით გაწეული დახმარების გამო მადლობის გადახდას (სოციალური და ეკომონიმური საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (2011), მედიის მონიტორინგის შედეგები). სოციალურად დაუცველ ადამიანთა პრობლემების გაშუქება გარკვეული

რეკომენდაციებით უნდა წარიმართოს. ო. ცისკარიშვილი გვთავაზობს რამდენიმე რჩევას, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა სოციალურად დაუცველი პირების საჭიროებების გაშუქება. ესენია:

- ✓ გაარკვიეთ, სოციალურად დაუცველ პირთა რა ჯგუფები არსებობს თქვენს ქალაქში ან რეგიონში. გაარკვიეთ, აშუქებენ თუ არა მედია საშუალებები ამ ჯგუფებს?
- ✓ უმუშევრებისგან, ნარკომანებისგან, ომის მონაწილეთაგან და სხვათაგან აუცილებლად აიღეთ ინტერვიუ.
- ✓ დაუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა მისიაც უმუშევართა, უსახლკაროთა და სხვა სოციალურად დაუცველთა დახმარებაში მდგომარებს.ითანამშრომლეთ მათთან, რათა ისინი ინფორმაციის სანდო წყაროები გახდნენ.
- ✓ როდესაც უმუშევრებისგან, ან სოციალურად დაუცველი ფენის სხვა წარმომადგენლებისგან იღებთ ინტერვიუს, მხოლოდ მათ საკითხებზე აქტუალური კითხვებით ნუ შემოიფარგლებით. ეცადეთ, სრულიად გაიგოთ მათი ცხოვრება, მონახოთ რამე, რის მიმართაც მათ განსაკუთრებული გრძნობები ამოძრავებთ.
- ✓ სოციალური სირთულეები კონტექსტში უნდა განიხილოთ. გაარკვიეთ რა ფაქტორებმა გამოიწვია მათი პრობლემები.
- ✓ აღწერეთ ამ ჯგუფების ერთ-ერთი ისეთი წარმომადგენელი, რომელმაც რაიმე სირთულეს გაართვა თავი და წარმოუდგენელს მიაღწია. იქნებ არის ვინმე, ვინც ვერ შეძლო რომელიმე სფეროში სამსახურის შოვნა, მაგრამ მოახერხა სხვა სფეროზე გადართვა და იქ წარმატებას მიაღწია.
- ✓ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მათთან, ვის შესახებაც წერთ, გარკვეული დრო დაჰყოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ ნათქვამს უეჭველად უნდა (ცისკარიშვილი,2017)

საინტერესოა, რა რაოდენობას ვგულისხმობთ, როცა საქმე ეხება სოციალურად დაუცველ ფენას? 2022 წლის საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში რეგისტრირებულია 1,176,588 პირი და 369,515 ოჯახი, რაც მთელი მოსახლეობის 31.5% და 34.7%-ს შეადგენს. ხოლო, საარსებო შემწეობას იღებს რეგისტრირებულ პირთა დაახლოებით ნახევარი - 535,343 პირი და 149,864 ოჯახი.

2022 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, ექსპერტთან ერთად, ქვეყნის მასშტაბით 7 მუნიციპალიტეტში 11 სოციალური საცხოვრისი მოინახულეს. 806 მონიტორინგის უმთავრესი მიზანი იყო ამ დაწესებულებებში განთავსებული უსახლკარო პირების ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის საკითხის შესწავლა. ვიზიტებმა, სოციალურ საცხოვრისებში არსებული არაადეკვატური საცხოვრებელი გარემო ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად გამოკვეთა. ეს საბოლოო, ერთი მხრივ, აიძულებს მცხოვრებლებს, იცხოვრონ ღირსების შემლახავ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეულ საცხოვრისებში არსებულმა მდგომარეობამ მათ სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას საფრთხეც კი შეიძლება შეუქმნა (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022)

უსახლკარობისა და სოციალური საცხოვრებლის შესახებ სალომე ნამიჭეიშვილის სახელმძღვანელოსაც გავეცანით, წინამდებარე სახელმძღვანელო განიხილავს უსახლკარობას, როგორც სოციალურ პრობლემას და სოციალურ საცხოვრისს, როგორც ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას. საქართველოში, სადაც უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე დიდია იძულებით გადაადგილებული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი,სოციალური საცხოვრისი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საცხოვრებლის უფლების მნიშვნელობაზე ყურადღებას

ამახვილებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც: „უფლება ღირსეულ საცხოვრისზე არის ღირსეული ცხოვრების უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტი“ (ნამიჭეიშვილი, 2014)

როდესაც ვსაუბრობთ სოციალურად დაუცველ ფენაზე, რასაკვირველია, საუბარია მაღალ სიღარიბის მაჩვენებელზე. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესოა ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა მერაბ კაკულიას, ნოდარ კაპანაძისა და ლალი ქურხულის ავტორობით. კვლევაში - „ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში“ ნათქვამია, რომ სიღარიბის დაძლევა კვლავაც რჩება საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ერთერთ მთავარ გამოწვევად. სიღარიბე სოფლად, როგორც წესი, უფრო მასშტაბურია ქალაქთან შედარებით. მონაცემთა დამუშავებამ აჩვენა, რომ საკვლევ პერიოდში საქართველოში სიღარიბის დონე ორივეგან არსებითად შემცირდა, თუმცა, ტენდენციების მსგავსების მიუხედავად, განსხვავება მათ შორის მაინც არსებითია: ქალაქად სიღარიბის დონის შემცირების ტენდენცია 1.3-ჯერ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სოფლად. ამ მხრივ ერთ-ერთი პრობლემის გადაჭრის გზა მისამართული სოციალური დახმარებაა - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისამართული სოციალური დახმარების ზეგავლენა სიღარიბის დონეზე, ვინაიდან სიღარიბის შემცირება ამ ტიპის სოციალური დახმარების პირდაპირი ამოცანაა (კაკულია, 2017).

სიღარიბე და სიღარიბესთან დაკავშირებული პრობლემები მედიაში ნაკლებადაა გაშუქებული. აქ მაინორია სოციალური და პოლიტიკური საკითხები. მათ, ვინც რეალურად ღარიბები არიან, არ ეძლევათ სივრცე საკუთარი პრობლემების გამოსაკახატავად. შესაბამისად,გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოება არაინფორმირებული და დაბნეულია. მედიის მიერ გაშუქებულმა სიუჟეტებმა უნდა ახსნას მიზეზები და მიუთითოს ქმედებებზე. მედია არის საშუალება, იყოს ღარიბი ადამიანების ხმა, გასცეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები მათთვის (Robinson, 2009).

თავი 2. კვლევის დიზაინი

საკითხის აქტუალურობა

სოციალური თემატიკა აქტუალურობას არასდროს კარგავს, რადგან ის ადამიანის სოციალური არსებობის შემადგენელი ნაწილია, მის ცხოვრებას პირდაპირ უკავშირდება. საზოგადოების დიდ ნაწილს სწორედ სოციალური პრობლემების მოუგვარებლობა აწუხებს. მას კიდევ უფრო დიდი დატვირთვა აქვს ისეთი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

სოციალურად დაუცველ პირთა რაოდენობა ქვეყანაში დღითიდღე სულ უფრო და უფრო იზრდება. 2022 წელს საარსებო შემწეობის მიმღებთა წლიურმა და თვიურმა რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, ძირითადი დატვირთვა კი რეგიონებზე მოდის. რეგიონებში არსებული სოციალური ფონი ძალიან მძიმეა და, სამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ ისინი თვალთახედვის მიღმა რჩებიან. სწორედ საარსებო შემწეობის მიმღებთა და მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირთა ჯამური რიცხვის გაანალიზება განაპირობებს საკითხის აქტუალობას.

კვლევის ობიექტი

საკვლევ ობიექტად განისაზღვრა შემდეგი სამი ონლაინ გამოცემა - „გურია NEWS"-ი, "ბათუმელები" და „სამხრეთის კარიბჭე". მოცემული სამი მედიასაშუალება მიზნობრივ შერჩევაში მოხვდა გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა რაოდენობის მიხედვით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია გაანალიზდეს თუ როგორ აშუქებს შერჩეული რეგიონული ონლაინმედია სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემებს.

კვლევის ამოცანები

- შერჩეული რეგიონული მედიასაშუალებების ონლაინსაიტების მონიტორინგი;

- კონკრეტული დაინტერესებული პირებისაგან სიღრმისეული ინტრვიუს მოპოვება;
- რეგიონულ მედიაში სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების ტენდენციის დადგენა;
- დაკვირვების მიზნით შერჩეული ონალინმედიების კონტენტ-ანალიზის შედეგების შედარება და ამოცანები;
- სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გასაშუქებლად კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა.

საკვლევი მასალის შერჩევა

რაც შეეხება საკვლევი მედიის შერჩევას, გამოყენებულია ზედაპირული შერჩევის მეთოდი (საკვლევი მედია შეირჩა პუბლიკაციათა რაოდენობის მიხედვით)

საკვლევი პერიოდი

საკვლევ პერიოდად აღებულია 2022 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 01 იანვრამდე პერიოდი. მონიშნული დრო განისაზღვა იმ მიდგომით, რომ ჩვენ წვდომა გვქონოდა კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებზე, რომლებსაც უკვე დასრულებული სახე ჰქონდა, რადგან სოციალურად დაუცველ პირთა განხილვისას, აუცილებელია გვქონდეს კონკრეტული სურათი იმისა, თუ საქართველოს მოსახლეობის რა რაოდენობას ვგულისხმობთ.

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი კითხვები

მიზნის მისაღწევად გამოვკვეთეთ შემდეგი საკვლევი კითხვები:
RQ1 : რა თავისებურებებით აშუქებს შერჩეული მედია სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემებს?

RQ2 : რამდენად სრულფასოვნად და სიღრმისეულადაა მომზადებული სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების საკითხი?

RQ3: სოციალურად დაუცველ პირთა შესახებ მომზადებულ პუბლიკაციებში ინფორმაციული მასალა სჭარბობს თუ ანალიტიკური?

RQ4 : იცავენ თუ არა მოცემული რეგიონული მედიები სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტური ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს?

კვლევის ჰიპოთეზა

H1: საკვლევი მედია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემატიკას აქტიურად არ აშუქებს.

H2: საკვლევი მედია მოვლენურად ინტერესდება ფაქტებით და არ იჩენს თანმიმდევრულ ინტერესს საკითხის მიმართ.

H3: სოციალურად დაუცველ პირთა შესახებ საკვლევი მედიის მასალებში არ არის დაცული ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები

კვლევის მეთოდი

აღნიშნული კვლევის მეთოდია - სიღრმისეული ინტერვიუები და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სამი რეგიონული ონლაინმედიის - „გურია NEWS“-ის, „ბათუმელების“ და „სამხრეთის კარიბჭის“

ვებგვერდებიდან გაანალიზებულია პუბლიკაციები როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კატეგორიების მიხედვით.

კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის გამოყენების საშუალებით ჩვენ პროცენტულად და რიცხობრივად გამოვთვალეთ საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალების სიხშირე, თემები, ჟანრობრივი გადანაწილება.

თემატური მახასიათებლებით მასალების გაანალიზების კრიტერიუმებად წარმოგიდგენთ შემდეგ ძირითად კომპონენტებს : ჟანრი, წყარო, ტონი, პროფესიული ეთიკა, თემა, ძირითადი ტენდენციები და ფრეიმები.

ჟანრი

საკვლევი მასალის ჟანრობრივ კატეგორიებად დაყოფამ საშუალება მოგვცა, განგვესაზღვრა გამოქვეყნებული მასალების მრავალფეროვნება, დადგენა იმისა, თუ რამდენად მრავალფეროვნად შუქდება სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემატიკა ჩვენ მიერ წარმოდგენილ მედიასაშუალებებში. ჟანრებად დაყოფა საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ, ძირითადად რა ფორმატში აწვდიან ჟურნალისტები მასალას საზოგადოებას - იქნება ეს ნიუსი თუ ანალიტიკური ჟურნალისტიკის სხვადასხვა ფორმა. ჟურნალისტები სოციალურ დაუცველთა პრობლემებს სიღრმისეულად განიხილავენ თუ მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას.

წყარო

ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით საშუალება მოგვეცა, გაგვეანალიზებინა და შეგვეფასებინა, რამდენად მაღალია მასალებში გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება. გამოყოფილია, კონრეტულად რომელ წყაროს დაეყრდნო მასალის ავტორი ინფორმაციის გავრცელებისას, რამდენად სწორად გახლავთ ეს ყოველივე შერჩეული. ეს კრიტერიუმი გვაძლევს საშუალებას, გავაანალიზოთ, თუ რამდენად აქვს კონკრეტულ მედიასაშუალებას კონტაქტი უშუალოდ პირველწყაროსთან, რა

მასალებს ეყრდნობიან ისინი ინფორმაციის საზოგადოებამდე მისატანად. რამდენად დაცულია მასალის შერჩევისას ბალანსი და ეთიკურობა.

ტონი

გამოვყავით 3 სახის ტონი - პოზიტიური, ნეიტრალური და უარყოფითი. პოზიტიურად მივიჩნიეთ ტონი, რომელშიც სოციალურად დაუცველ პირთა მიმართ გაუმჯობესება, დამხარება, თანადგომა იკვეთება. ეს ძირითადად გახლდათ ხელისუფლების მიერ სოციალურად დაუცველ პირთა ხელშესაწყობად გადადგმული ნაბიჯების გაშუქება.

ნეიტრალურად მივიჩნიეთ ტონი, რომელშიც კონკრეტულად არც ნეგატიური და არც პოზიტიური ტონი არ იკითხება. მასალა ნეიტრალურად, დაბალანსებულად არის გადმოცემული.

და ბოლოს, ნეგატიურ ტონს ვხვდებით მაშინ, როდესაც აშკარაა კონკრეტული საკითხისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. ნეგატიურ ტონს ძირითადად ვხვდებით მაშინ, როდესაც მასალაში აღბეჭდილია სოციალურად დაუცველ პირთა მძიმე, ეკონომიკურად შეჭირვებული ცხოვრება.

თემა

მასალების სიღრმისეული შესწავლისა და მისი საფუძვლიანი დამუშავების შემდეგ, გამოიკვეთა ის ძირითადი თემატიკა, რომელიც გამოვლინდა ჩვენ მიერ შერჩეულ საკვლევ ონლაინმედიებში.

პროფესიული ეთიკა

ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას ეხება „პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპები ჟურნალისტიკაში“. დოკუმენტის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ, რომ ჟურნალისტი ინფორმაციის გავრცელებისას პასუხისმგებელია არა მხოლოდ იმ პირების წინაშე, რომლებიც აკონტროლებენ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, არამედ უპირველესად - საზოგადოების წინაშე. ჟურნალისტმა უნდა

გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესების მთელი სპექტრი. დოკუმენტში წერია, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ჟურნალისტისგან ეთიკის ნორმების მკაცრად დაცვას მოითხოვს (იუნესკო, 1983) იმისთვის,რომ ჟურნალისტურ პროდუქტს გააჩნდეს მაღალი ღირებულება, ეთიკური ნორმების დაცვა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. ამ მხრივ აუცილებელია განვსაზღვროთ, გვაქვს თუ არა ადგილი ეთიკის ნორმების დაცვით მოპოვებასთან, გადამუშავებასა და შემდგომში გადაცემასთან.

კვლევის თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ფრეიმინგის თეორია. ფრეიმინგის კონცეფცია დაკავშირებულია დღის წესრიგის კონცეფციასთან.მოცემული კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს არამხოლოდ კონკრეტულ თემაზე, არამედ საშუალებას იძლევა, განვავრცოთ კვლევა მოცემული საკითხის არსზე ფოკუსირებით. კონცეფციის თეორიული საფუძველია ის, რომ მედია ყურადღებას ამახვილებს გარკვეულ მოვლენებზე და მას აშუქებს კონკრეტული კუთხით. მედიის მიერ ამბის კონკრეტული კუთხით გაშუქებამ შესაძლებელია დიდად იმოქმედოს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს და გადაამუშავებს აუდიტორია ამ საკითხს. ჩარჩო არამხოლოდ ეუბნება აუდიტორიას რაზე იფიქრონ, არამედ როგორ იფიქრონ ამ საკითხზე (Communication, 1999).

მოცემულ კვლევაში ფრეიმინგის თეორიის დახმარებით გაანალიზდა, თუ როგორ ყალიბდება ქართულ რეგიონულ ონლაინგამოცემებში სოციალურად დაუცველთა პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები და აგრეთვე, რა მთავარ ფოკუსებზე აკეთებენ გამოცემები აქცენტს.

ძირითადი ტენდენციები

ამ კატეგორიამ წარმოაჩინა ყველა ის უარყოფითი თუ დადებითი ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა მასალათა შესწავლის პროცესში. ძირითადი ტენდენციების გამოყოფით თვალსაჩინო ხდება კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტები.

თავი 4. კვლევის შედეგები

4.1 „გურია NEWS”

საკვლევ პერიოდში - 2022 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 01 იანვრამდე ონლაინგამოცემა „გურია NEWS“- ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა 20 ჟურნალისტური მასალა, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეხებოდა.

ჟანრი

ჟანრობრივი თვალსაზრისით „გურია NEWS” - ის ვებგვერდზე მკვეთრად შეინიშნება ახალი ამბების სიმრავლე, ამასთან ერთად გვხვდება ანალიტიკური სტატიები. სხვა სახის სიღრმისეულ მასალებს ჩვენ საკვლევი პერიოდის განმავლობაში არ ვხვდებით. შესაბამისად, 20 ჟურნალისტური მასალიდან ჟანრობრივი განაწილება ასეთია:

- ✓ ნიუსი: 18
- ✓ ანალიტიკა : 2

დიაგრამა 4.1. ჟანრების განაწილება პროცენტულად



დიაგრამა 4.2.მასალის განაწილება თვეების მიხედვით



თემა

მასალათა თემატურმა გადანაწილებამ გვიჩვენა, რომ „გურია NEWS“-ის ვებსაიტზე ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემები შუქდებოდა. ამ თემატიკის პუბლიკაციები, მეტწილად, ნეიტრალური ტონით, თემის შესაბამისად მიეწოდებოდა მკითხველს. შინაარსობრივად ეს არის სოციალურად დაუცველ პირთა საგანგაშო მაჩვენებელი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, დასაქმების პროგრამები, ფულადი დახმარებები და სხვ.

საერთო თემატური გადანაწილება ასეთია:

1.სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა- 4

2. ფულადი დახმარება და შეღვათები- 8

3.უსახლკაროდ დარჩენილი სოციალურად დაუცველი ოჯახები - 3

4.სოციალურად დაუცველი ბავშვები - 4

5.სოციალური საცხოვრისი - 1

6.ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა - 2

7.სტატისტიკური ანგარიში - 2

8. სოციალურად დაუცველები რეგიონიდან - 0

დიაგრამა 4.3. მასალის თემატური გადანაწილება .



წყარო

მასალის ამომწურავი გაანალიზებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი წყაროებზე დაკვირვებაა. ამ მიმართულებით ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად არის კონკრეტული მედიასაშუალება ინფორმაციის პირველწყარო, რა სახის და რომელ წყაროებს მიმართავენ ყველაზე მეტად, დაცულია თუ არა ბალანსი. „გურია NEWS“- ის სოციალურად დაუცველ პირებზე გაშუქებული მასალების უმეტესობა (18 სტატია) ნიუსური სტილის იყო, რომლებიც ძირითადად პერიფრაზით

და აბსოლუტური სიზუსტით იმეორებდნენ სამთავრობო უწყებებისა თუ რეგიონული ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებებს ან უფრო მეტიც, იყენებდნენ სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან გადმოტანილ ინფორმაციას. შესაბამისად, ხშირად არ არის ხოლმე პირველწყარო. ასეთი შემთხვევა იყო კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებში ბავშვთა მდგომარეობის ამსხველი მასალა, რომლის დროსაც „გურია NEWS“ - ი სრულიად დაეყრდნო საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსიდან“ აღებულ ინფორმაციას და გამოაქვეყნა სტატია სათაურით - „საქართველოში „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებში“ 7 ათასზე მეტი ბავშვია“ (27.10.2022). ხშირია შემთხვევები, როდესაც ონლაინგამოცემა პირდაპირ ეყრდნობა საჯარო უწყებებისა თუ მთავრობის წარმომადგენლებს. მეტიც, არის შემთხვევები,როცა ის არათუ ეყრდნობა საჯარო დაწესებულებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს,არამედ ვებსაიტზე პირდაპირ გადმოაქვს ის ძირითადი ტექსტი,რომელიც კონკრეტულმა საჯარო დაწესებულებამ გამოქვეყნა სოციალურად დაუცველი პირების შესახებ. მაგალითად, სტატიაში - „რატომ გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რიცხვი“ (03.05.2022). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება ვებსაიტზე არა მიმოხილვის, არამედ „copy-paste‘’-ის სტილით განთავსდა, ანალიტიკური განხილვის გარეშე. წყაროთა მრავალფეროვნებით დატვირთული აღმოჩნდა სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებული მასალები, რომლებზეც „გურია NEWS“-მა 4 ჟურნალისტური მასალა წარმოგვიდგინა. აქედან 2 ნიუსი, 2 კი ანალიტიკური სტატია გახლავთ. აღსანიშნავია, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში დასაქმების პროგრამა გახლდათ ის ერთადერთი საკითხი, რომელზეც ონლაინგამოცემამ 2 ანალიტიკური სტატია შემოგვთავაზა. ანალიტიკური სტატიაში - „როგორ მიმდინარეობს სოციალურად დაუცველთა პროგრამა ჩოხატაურში“ (რუსა ოქრუაშვილი 14.09.2022) პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებასთან ერთად ჩვენ ვკითხულობთ ინტერვიუს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

მოადგილე მინდია ჟღერიასთან, რომელიც „გურია NEWS“ -მა ჩაწერა. აღნიშნული ინტერვიუ ძალზე საინტერესოა, რადგან სტატიის გაცნობით მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება არსებული პროგრამის შესახებ, შესაბამისად, ამ შემთხვევაში ონლაინგამოცემა კარგად ასრულებს ინფორმატორის როლს.
მეორე და უკანასკნელი ანალიტიკური სტატია, რომელსაც საკვლევი პერიოდის განმავლობაში მივაგენით, აგრეთვე დასაქმების პროგრამას უკავშირდებოდა. „მერიაში ვერ ამბობენ, რამდენი ადამიანი დაასაქმეს პრემიერის მიერ ინიცირებული პროგრამით“ (რუსა ოქრუაშვილი 11.09.2022) - გახლავთ ერთადერთი ჟურნალისტური ნაშრომი, რომელშიც ჟურნალისტი გვევლინება მკვლევრის როლში. ის იკვლევს, კითხვებს სვამს და შესაბამისი თანამდებობის პირებისგან პასუხს ელის. კერძოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით “გურია NEWS”-ი დაუკავშირდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელ პირს სოციალური დასაქმების პროგრამის საკითხებში - ეკატერინე გურჯიშვილს. მეტი ინფორმირებულობისთვის ონლაინგამოცემა შეეცადა, მოეპოვებინა ინფორმაცია ლანჩხუთიდან და ოზურგეთიდან, თუმცა მათ ინფორმაცია არ მიაწოდეს. აღსანიშნავია, რომ ონლაინგამოცემამ ინფორმაციის მოძიებისთვის კვლავ განაგრძნო ძიება - ჯერ დაუკავშირდა სოციალურ სააგენტოს, შემდგომში ოზურგეთის მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელს, შემდგომში კი დასაქმების სააგენტოს, თუმცაღა სრულყოფილი ინფორმაცია მათ ვერ მიიღეს. აღნიშნულ ანალიტიკურ სტატიაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ინფორმაციის სრულფასოვნად გასაშუქებლად ამ შემთხვევაში გამოცემა რამდენიმე განსხვავებულ წყაროს დაუკავშირდა, მიღებული უარის შემთხვევაში კი ინფორმაცია მკითხველს მიაწოდა - „ინფორმაცია, რომელიც ჩოხატაურში მარტივად მოგვაწოდეს, აღმოჩნდა, რომ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მერიებში არ იძლევიან“.

ჩვენ აგრეთვე დავინტერესდით, გაგრძელდა თუ არა აღნიშნული საკითხის გამოკვლევა, რადგან როგორც რუსა ოქრუაშვილის სტატიაში ვკითხულობთ, - “გურია NEWS”-ი აგრძელებს საკითხზე მუშაობას და ინფორმაციას სააგენტოდან

მიღებისთანავე შემოგთავაზებთ“. ჩვენ შემდგომ პერიოდში მოვიძიეთ ონლაინგამოცემის მიერ გამოქვეყნებული სტატიები და აღმოჩნდა, რომ 3 დღის შემდეგ, 14 სექტემბერს, მათ ვებგვერდზე განთავსდა ნიუსი სახელწოდებით - „რამდენი მოქალაქეა დასაქმებული სოციალურ სამუშაოებში“ (14. 10 . 2022),რომელშიც წყარო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაია გახლდათ. მასალაში სიტყვასიტყვით, „copy-paste” - ის სტილითაა ინფორმაცია მკითხველამდე მიტანილი.

როგორც მასალის გაცნობისას გამოიკვეთა, დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით რამდენიმე წყარო,რომლებიც, თავის მხრივ, განიხილავენ და გვაცნობენ მონაცემებს. თუმცაღა ჩვენ დავინტერესდით, რამდენად მრავალმხრივად აშუქებს ონლაინგამოცემა პრობლემას. „გურია NEWS“-თან საუბრისას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელმა პირმა სოციალური დასაქმების პროგრამის საკითხებში ეკატერინე გურჯიშვილმა აღნიშნა, რომ არის შემთხვევები,როდესაც დასაქმებულები უარს ამბობენ მუშაობაზე „უარის თქმის მიზეზი ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ერთი ოჯახიდან რამდენიმე ადამიანია დასაქმებული და ამბობენ, რომ საშინაო საქმეებს ვეღარ მოასწრებენ“. მასალა დაუბალანებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ კუთხით, რომ მეტი ბალანსისა და სიღრმისეული ანალიზისთვის აქ არ ჩანს თავად იმ სოციალურად დაუცველ პირთა მოსაზრებები. სავარაუდო მიზეზებს ჩვენ ვიგებთ მერიის წარმომადგენლებისგან იმის ნაცვლად, რომ კონკრეტულ მიზეზებს ვისმენდეთ თავად პირველწყაროსგან. შესაბამისად, წყაროთა ბალანსი დარღვეულია.

რესპოდენტთა ბალანსის დარღვევის შესახებ ორი მსგავსი ნიუსური მასალა აღმოვაჩინეთ, რომლის მთავარი გზავნილიც არჩილ თალაკვაძის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუმრობის გაშუქება იყო. ნიუსური მასალა ოთხი თვის შუალედით გამოქვეყნდა. მასში მხოლოდ ოზურგეთის მერის კომენტარი ჩანს. სტატიებში სახელწოდებით - „ავთანდილ თალაკვაძემ მრავალშვილიანი ოჯახები მოინახულა“ (29.09.2022) და „ოზურგეთის მერმა სოციალურად შეჭირვებული

ოჯახები მოინახულა და მათ საჭიროებებს გაეცნო“ (22.09.2022) სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემები განხილულია ვიწრო ჭრილში, რაც განაპირობებს გარკვეულ ერთფეროვნებას. ჟურნალისტს პრობლემების დეტალური გაცნობის და განხილვის მიზნით უნდა მიემართა თავად იმ სოციალურად დაუცველი პირებისთვის, რომლებსაც მერი ადგილზე ეწვია. შესაბამისად, არ გვაქვს პასუხი კითხვაზე - კონკრეტულად, რა უჭირთ და რას ელიან ისინი ადგილობრივი მედიისგან? მასალა დაუბალანსებელია, რადგან არ ჩანს მთავარი მხარის, სოციალურად დაუცველი პიროვნებების, საჭიროებები მაშინ, როდესაც რეგიონული მედია, უპირველესად, რეგიონში არსებული მძიმე ვითარების წინა პლანზე გადმოტანას უნდა უწყობდეს ხელს.

1 საათიანი შუალედით „გურია NEW”-მა ორი სტატია დაუთმო სოციალურად დაუცველი ოჯახის - ცინცაძეების სახლის დაწვის ამბავი , რის შედეგადაც ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. პირველად გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩოხატაურში ცინცაძეების სახლი დაიწვა„ (07.12.2022) წყაროდ მერის წარმომადგენელი დაბაში რევაზ ბერძენიშვილი გვევლინება და ვკითხულობთ, რომ „ამ დროისთვის ადგილზე მუშაობენ მეხანძრე მაშველები“, ხოლო მეორე სტატიის გაცნობისას (07.12.2022) მერის წარმომადგენელთან ერთად ჩვენ ვხვდებით კიდევ ერთ წყაროს - ცინცაძეების მეზობელს, რომელიც „გურია NEWS“-თან სახლის მდგომარეობაზე და ცინცაძეების მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე აკეთებს კომენტარს. უფრო მეტიც, სტატიაში ვკითხულობთ, რომ ხანძარი უკვე ლოკალიზირებულია. „გურია NEWS „- ი დარჩა ადგილზე და ვებგვერდის მკითხველს მიაწოდა გაანხლებული ინფორმაცია ახალ წყაროსთან ერთად. ეს შეიძლება ჩავთვალოთ მცდელობად, რომ ნიუსური ტიპის მასალაშიც ონლაინგამოცემას ჰქონდა წყაროების მრავალფეროვნებისა და ბალანსის მიღწევის მცდელობა.

იმის გათვალისწინებით, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში გურია NEWS”-ში სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების შესახებ გაშუქებული მასალების დიდი

წილი (18 სტატია) ნიუსური სტილის იყო, ძირითადად ეყრდნობა იმ წყაროს, რომლისგანაც ჩვენ ვეცნობით ახალ ამბავს. მაგალითად, სტატიაში - „გაუსაძლისი პირობები ოზურგეთის სოციალურ საცხოვრისში“ (06.07.2022) ჩვენ ერთადერთ წყაროდ გვხვდება მონიტორინგის ანგარიში, რომელიც სოციალური საცხოვრისის მძიმე პირობებზე მეტყველებს.აღნიშნულ სტატიაში არ ვხვდებით თავად საცხოვრისის ზედამხედველების ან უფრო მეტიც, აქ მცხოვრები სოციალურად დაუცველ პირთა კომენტარებს. მასალა ნიუსურად, ერთი წყაროს საშუალებით მიეწოდებამკითხველს.

ტონი

საკვლევი ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში გამოცემის მიერ გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილი ნეიტრალური ტონით იყო დაწერილი. ონალაინგამოცემა ცდილობს, ყოველგვარი განწყობის გარეშე გააშუქოს სოციალურად დაუცველ პირთა საკითხები. კვლევამ აჩვენა, რომ ჟურნალისტები არ ავლენდნენ ანტიპათიებს ან მკვეთრად გამოხატულ სიმპათიებს რესპოდენტთა მიმართ, ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდნენ ინფორმაციას. ირიბად პოზიტიური ტონი შევნიშნეთ მაშინ, როდესაც ონლაინგამოცემამ ორი სტატია მიუძღვნა ოზურგეთის მერს, რომელმაც სოციალურად დაუცველი ოჯახები მოინახულა - „თანამოქალაქეებზე ზრუნვა, მათ პრობლემებზე რეაგირება და სოციალური პირობების გაუმჯობესება, ჩვენთვის კვლავ მთავარ პრიორიტეტად რჩება.“ აქცენტი გაკეთდა არა თემასთან დაკავშირებული პრობლემის სიღრმისეულ გაშუქებაზე, არამედ ინიციატივაზე, რომელსაც მთავრობა იჩენს და სუბიექტები ირიბად არიან წარმოდგენილი.

პროფესიული ეთიკა

სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გაშუქება სხვა სოციალური საკითხების გაშუქებისგან განსხვავდება იმით, რომ აქ კრიტიკულად აუცილებელია ინდივიდის, ჩვენს შემთხვევაში სოციალურად დაუცველი პიროვნების, უფლებების დაცვა. „გურია NEWS” - ი უმეტესად იცავდა პროფესიულ ეთიკას. იმის გათვალისწინებით,

რომ ჟურნალისტური მასალის უმრავლესობა ნიუსური სტილისაა, აქ ძირითადად ფაქტებზე ხასგასმას შესაბამისი ზოგადი ფოტოს ფონზე ვხედავთ.

მიუხედავად ამისა, ეთიკური ნორმების დარღვევად მივიჩნიეთ ფაქტი, რომ „გურია NEWS"-ის მიერ გამოქვეყნებულ ორ სტატიაში - „ავთანდილ თალაკვაძემ მრავალშვილიანი ოჯახები მოინახულა" (29.12.2022) და „ოზურგეთის მერმა სოციალურად შეჭირვებული ოჯახები მოინახულა და მათ საჭიროებებს გაეცნო" (22.09.2022), არასრულწოვანი ბავშვების ფოტოებს ვხვდებით, როცა ამის აშკარა საჭიროება არ იკვეთება. არასრულწლოვნების არასაჭირო იდენტიფიცირების ფაქტი ერთ-ერთი ხშირად დაშვებული შეცდომაა. „მედიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს ბავშვებისა და სხვა დაუცველი ინფორაციის წყაროს მიმართ". (მახარაძე,2014)

უდავოა,რომ მაუწყებლის მიერ გარკვეული სიახლეების ცალმხრივად გაშუქება,რასაც ტენდენციური ხასიათი გააჩნია, ეთიკური ნორმების დარღვევად უნდა მივიჩნიოთ. გამოიკვეთა ამის რამდენიმე მაგალითი.კერძოდ, ანალიტიკურ სტატიაში, რომელიც პრემიერის მიერ ინიცირებული დასაქმების პროგრამაში ჩართულ სოციალურად დაუცველ პირთა რაოდენობას ეხეობდა, არ გახლდათ გამოკითხული არცერთი სოციალურად დაუცველი პირი და მათ კმაყოფილების დონეზეც კი თავად მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები აკეთებდნენ კომენტარს. წყაროთა ბალანსისა და ორმხრივი გაშუქებისთვის, სასურველია, მასალაში იკითხებოდეს თავად სოციალურად დაუცველთა პოზიცია, თუმცა რეგიონული ონლაინსაშუალება სოციალურად დაუცველ პირთა უშუალო შეხვედრებით და მათგან ინფორმაციის მიღებით ნაკლებადაა დაინტერესებული.

ძირითადი ტენდენციები

1. ზედაპირული და ტენდენციური გაშუქება

გასაშუქებელ თემებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა საინტერესო მიგნებამდე. ჩატარებულმა კონტენტ-ანალიზმა აჩვენა, რომ ერთწლიანი საკვლევი პერიოდის

განმავლობაში „გურია NEWS“-ი, შიგა და შიგ ინტერესდება ქვეყანაში არსებული სიახლეებით და არ გამოხატავს მუდმივ,სიღრმისეულ და თანმიმდევრულ დაინტერესებას სოციალურად დაუცველი პირების პრობლემების გაშუქების კუთხით. ნიუსური ტიპის სტატიები, რომლებიც საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამოვიკვლიეთ, არა მიმოხილვის, არამედ ძირითადად ციტატების სახით გვხვდება მასალაში. შესაბამისად, მასალა არ არის სიღრმისეულად, ჟურნალისტები ზედაპირულად ეხებიან სოციალურად დაუცველ პირთა საკითხებს, რეალურად კი, სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემატიკა მოითხოვს ღრმა ანალიზს, ექსპერტების ჩართვას.

მაგალითისთვის, ზედაპირულად გაშუქდა აღნიშნულ ონლაიმედიაში ოზურგეთის სოციალური საცხოვრისის მძიმე მდგომარეობა - „გაუსაძლისი პირობები ოზურგეთის სოციალურ საცხოვრისში“ (06.06.2022). მაშინ, როდესაც მედიას შეეძლო არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ჩაეტარებინა სიღრმისეული ანალიზი, გამოეკითხა ის ადამიანები, რომლებიც იქ ცხოვრეობენ, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ამომწურავი ინფორმაცია საცხოვრისის მძიმე მდგომარეობის შესახებ, ონლაინგამოცემა დაკმაყოფილდა მხოლოდ მონიტორინგის ანგარიშით.

ტენდენციურად და ზედაპირულად გაშუქდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - სოციალურად დაუცველთა რიცხვის ზრდა. სტატია სახელწოდებით - „ რატომ გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რიცხვი“ (03.05.2022) მკითხველი ყოველგვარი ანალიტიკის გარეშე მხოლოდ სამინისტროს განცხადებას ეცნობა, რომელიც სიტყვა-სიტყვითაა ვებგვერდზე გადმოტანილი. ეს არის ერთადერთი სტატია, რომელიც ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში სოციალურად დაუცველ პირთა რაოდენობას ეხება. სტატია, რომელიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს უნდა იკვლევდეს, ექსპერტების მოსაზრებებებით გაჯერებული იყოს, მხოლოდ ერთი მხარის განცხადებას წარმოგვიდგენს. შესაბამისად, ერთადერთი სტატიაც კი,

რომელშიც ონლაინგამოცემის მკითხველს შეუძლია სოციალურად დაუცველი პირების შესახებ ზოგად ინფორმაციას გაეცნოს, ზედაპირული და ერთფეროვანია.

მთავარი პრობლემა, რომელიც საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა, სწორედ ანალიტიკის ნაკლებობაა. რეგიონული ონლაინმედია არ გვთავაზობს სრულ სურათს, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი ნაწილით და ამას აკეთებს ე.წ. "copy-paste"- ის სტილით.

2.საჯარო უწყებები, როგორც მთავარი წყარო

ინფორმაციის წყაროდ „გურია NEWS" - ისთვის უმეტესად, საჯარო უწყებები გვევლინება. ინფორმაცია, რომელსაც „გურია NEWS"-ი იყენებს, ხშირად სრულიად იმეორებს მაგალითად სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ტექსტს. შეინიშნება ,,Copy-paste" -ის ტენდენცია. მაგალითად, საკვლევი პერიოდის განმავლობაში სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების საკითხს 2 ნიუსური პირის სტატია მიეძღვნა. ორივე სტატიაში წყაროდ პრემიერი გვევლინება. მასში სიტყვა-სიტყვით, ანალიტიკის გარეშეა მოცემული ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება. „სოციალურად დაუცველ ოჯახებს ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადი დაუსუბსიდირდებათ" (04.02.2022) - ონლაინგამოცემა აგრეთვე მთავრობის დადგენილებას იმეორებს. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სტატიაშიც სახელწოდებით - „რატომ გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რიცხვი" (03.05.2022),რომელიც პირდაპირ იმეორებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისრტოს განცხადებას.

3. რეგიონის სიახლეების ნაკლებობა

რეგიონული მედია უნდა იყოს ხმა რეგიონისა. საკვლევი პერიოდის განმავლობაში „გურია NEWS"- მა გურიაში არსებულ ვითარებას სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების შესახებ მხოლოდ 5 - აქედან 2 ანალიტიკური, 3 კი ნიუსური სტატია

მიუძღვნა. აქედან 2 დასაქმების პროგრამას, 2 არჩილ თალაკვაძის სტუმრობას სოციალურად დაუცველ ოჯახებში, 1 კი სოციალურ საცხოვრისს ეხებოდა. საყურადღებოა, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში რეგიონულ ონლაიმედიას არ ჰყავს გამოკითხული არცერთი სოციალურად დაუცველი. არცერთი ტიპის ჟურნალისტურ მასალაში, იქნება ეს ნიუსი თუ ანალიტიკური სტატია, ჩვენ არ ვხვდებით პირადად სოციალურად დაუცველებს, შესაბამისად, ინფორმაციას სუბიექტებისგან ვერ ვიგებთ. რეგიონული მედია, უპირველესად, რეგიონში არსებულ მდგომარეობას უნდა იკვლევდეს და აშუქებდეს. "გურია NEWS" კი სრულყოფილად ვერ ასრულებს ინფორმატორის როლს რეგიონში.

ფრეიმები

კოდების სახელმძღვანელო:

სოციალურად დაუცველთა მძიმე ყოფა - 2

რეგიონული ხელისუფლების ხელშეწყობა -3

საქველმოქმედო განცხადებები - 0

დაუცველთა ფულადი დახმარება - 9

დასაქმების პროგრამის ეფექტანობა - 4

საკვანძო სიტყვებზე დაკვირვების საშუალებით გამოიკვეთა (იხ. კოდების სახელმძღვანელო) ის ძირითადი ფრეიმები, რომლებშიც რეგიონული ონლაინგამოცემის ვებსაიტზე შრომითი უფლებები აისახა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სოციალურად დაუცველ პირთა ფრეიმები ყველაზე ნაკლებად იყო მიმართული თავად დაუცველთა პრობლემების გაშუქებისკენ. რეგიონულმა ონლაინმაუწყებელმა ამ ჩარჩოთი მხოლოდ 2 მასალა გააშუქა და, მეტწილად, ყურადღება ახალ საკონონმდებლო ცვლილებებზე გადაიტანა.

4.2 „სამხრეთის კარიბჭე“

Sknews.ge - არის საინფორმაციო პორტალი სამცხე-ჯავახეთიდან, რომელიც შეიქმნა გაზეთ „სამხრეთის კარიბჭეს“ ბაზაზე. ონლაინგამოცემის მისიაა მოსახლეობის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, სანდო, ოპერატიული, ექსკლუზიური და დაბალანსებული ინფორმაციით. მისი ერთ-ერთი ძირითადი ხედვაა, რომ ხელი შეუწყოს მოსახლეობის წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

საკვლევ პერიოდში - 2022 წლის ო1 იანვრიდან 2023 წლის ო1 იანვრამდე „სამხრეთის კარიბჭე“ სოციალურად დაუცველ პირთა საკითხებს აშუქებდა არა მხოლოდ ნიუსის სახით, არამედ სიღრმისეულად. საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნდა 14 ჟურნალისტური მასალა, აქედან 7 ნიუსი, 4 ანალიტიკური სტატია და 3 მიმოხილვა. რეგიონული ონლაინმაუწყებელი ნიუსური ტიპის მასალებში, მეტწილად, ქვეყანაში მიმდინარე სიახლეებს აშუქებს სოციალურად დაუცველ პირთა კუთხით, როგორებიცაა მაგალითად, სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა, ფულადი დახმარების ზრდა, შეღავათების დაწესება და სხვ. რაც შეეხება ანალიტიკურ სტატიებს, ამ ჟანრით, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში სოციალურად დაუცველ პირთა კრიტიკული მდგომარეობა გაშუქდა. მაგალითად, სვირში მცხოვრები სოციალურად დაუცველთა ოჯახი, რომელიც დახმარებას ითხოვს და ბორჯომელი სოციალურად დაცველი ქალი, რომელსაც მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო შვილს ართმევენ. “გურია NEWS” - ისგან განსხვავებით „სამხრეთის კარიბჭემ“ უყურადღებოდ არ დატოვა რეგიონში სოციალურად დაუცველთა პრობლემების გაშუქება.

რეგიონულმა ონლაინგამოცემამ ორი სიღრმისეული მიმოხილვა შემოგვთავაზა ისეთი საყურადღებო თემისა, როგორიცაა სამცხე-ჯავახეთში სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი დასაქმებულთა საერთო რიცხვი რეგიონების, პოზიციის მიხედვით. ონლაინგამოცემა ამომწურავ ინფორმაციას იძლევა

განახლებული სტატისტიკის, პირობებისა და პროგრამაში ჩართვის მსურველებისთვის სამინისტროსთან დაკავშირების პირობებს.

დიაგრამა 4.4. ჟანრების განაწილება პროცენტულად



დიაგრამა 4.5. მასალის განაწილება თვეების მიხედვით



თემა

მასალათა თემატურმა გადანაწილებამ გვაჩვენა, რომ "სამხრეთის კარიბჭე" საკვლევი პერიოდის განმავლობაში მასალათა ძირითად ნაწილს სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამაზე და ქვეყანაში არსებულ შეღავათებზე აქვეყნებს. დასაქმების პროგრამა ძალაში 2022 წლის 1 მარტიდან შევიდა, შესაბამისად, ამ პერიოდში აღნიშნულ პროგრამაზე ყურადღების დათმობა და საზოგადოებამდე სწორი ინფორმაციის მიტანა ძალზე მნიშვნელოვანი იყო რეგიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველებისთვის. საუბარია, პროგრამაში ჩართვის პირობებზე, სამუშაო პოზიციებსა და შემდგომში დასაქმებულთა მონაცემებზე, რომელიც საკვლევი პერიოდის განმავლობაში რეგიონული ონლაინცგამოცემის ვებგვერდზე 2 ჯერ განახლდა - " რამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანი დასაქმდა სამცხე–ჯავახეთში „ (29.08.2022); "8 თვეში სამცხე–ჯავახეთში 1 018 სოციალურად დაუცველი დასაქმდა" (08.11.2022). 5 სტატია მიუძღვნა ონლაინგამოცემამ ფულადი დახმარებისა და სოცილური შეღავათების თემას, რომელიც ძირითადად ნიუსურად, თუმცა შედარებით ამომწურავად პასუხობდა მკითხველის ინტერესებს. 2022 წელს მთავრობამ შემოიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც სოციალურად დაუცველ ოჯახებს ელექტროენერგიის და წყლის გადასახადის ნაწილი დაუსუბსიდირდათ. „სამხრეთის კარიბჭემ" ახალი დადგენილება უყურადღებოდ არ დატოვა და აღნიშნულ თემას მიუძღვნა 2 სტატია, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი, თუ ვის შეეხებოდა აღნიშნული დადგენილება.

„სამხრეთის კარიბჭეს" უყურადღებოდ არ დაუტოვებია სამცხე-ჯავახეთში სოციალურად დაუცველ პირთა მძიმე პირობების გაცნობა და მისი მკითხველამდე მიტანა. მართალია, ერთწლიანი საკვლევი პერიოდის განმავლობაში ამ საკითხს მხოლოდ 3 ანალიტიკური სტატია მიეძღვნა, თუმცა მოცემული ანალიტიკურ სტატიები მკითხველს დაახლოებით შთაბეჭდილებას უქმნის რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. რეგიონულ ონლაინგამოცემას გვერდი არ აუვლია ამ თემის გაშუქებისგან.

საერთო თემატური გადანაწილება ასეთია:

1.სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა- 6

2. ფულადი დახმარება და შეღავათები - 5

3.უსახლკაროდ დარჩენილი სოციალურად დაუცველი ოჯახები - 2

4.სოციალურად დაუცველი ბავშვები - 3

5.სოციალური საცხოვრისი - 0

6.ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა - 0

7.სტატისტიკური ანგარიში - 2

8. სოციალურად დაუცველები რეგიონიდან - 3

დიაგრამა 4.6. მასალის თემატური გადანაწილება



წყარო

საინტერესოა, რამდენად ხშირად არის რეგიონული ონლაინგამოცემა ინფორმაციის პირველწყარო, კონკრეტულად რა სახის წყაროებს მიმართავს და იცავს თუ არა წყაროთა ბალანსს, რაც ასე მნიშვნელოვნია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმე სოციალურ საკითხებს ეხება.

"სამხრეთის კარიბჭის" მიერ გამოქვეყნებული მასალების წყაროებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ მასალების დიდი ნაწილი (11 სტატია) წყაროდ ეყრდნობა ოფიციალურ სამთავრობო უწყებებსა და მათ დადგენილებებს. თუმცაღა აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სტატიებში, მეტწილად, იკვეთება წყაროთა მრავალფეროვნება. საკვლევი პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, ონლაინგამოცემას გამოექვეყნებინა სხვა საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავდროულად საყურადღებოა, რომ გამოიკვეთა სამი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტი ინფორმაციას თავად პირველწყაროსგან იღებს და დამოუკიდებლად ქმნის ამბავს. კერძოდ, ონლინგამოცემამ თავად სოციალურად დაუცველებისგან გამოიკვლია, თუ რატომ უჭირთ დასაქმების პროგრამაში ჩართვა და რა პრობლემებს აწყდებიან ისინი. კერძოდ, " სოციალურად დაუცველები დასაქმების პროგრამაზე" (თემო ინასარიძე 11.04.2022). სტატია დატვირთულია წყაროთა მრავალფეროვნებით. ჟურნალისტი არ დაეყრდნო მხოლოდ მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ინფორმაციის წყაროები თავად მოიძია და ამბავი ისე გააშუქა.კონკრეტულად, აღნიშნულ ანალიტიკურ სტატიაში ვხვდებით 4 სხვადასხვა სოციალურად დაუცველ პიროვნებას, რომლებიც აბსოლუტურად განსხვებულ სიტუაციში არიან. წყაროთა ბალანსისთვის აქ წარმოდგენილია იმ სოცილურად დაუცველთა აზრი, რომლებიც მხარს უჭერენ ან არ უჭერენ აღნიშნულ პროგრამას. "300 ლარი სულ არაფერს კი ჯობია, მაგრამ თუ ყოველდღიურად უნდა ვიმუშავო, მაშინ ძალიან ცოტაა. სოფელში მეტი საქმეა და ისევ ჯობს, რომ ჩემს ბაღს მივხედო" - აცხადებს სოციალურად დაუცველი „სამხრეთის კარიბჭესთან" ინტერვიუში. ამის პარალელურად, სტატიაში ვხვდებით საპირისპირო მოსაზრებებსაც - "დასაქმების

პროგრამაზე სოფლის გამგებელმა მითხრა. რომ არ გვიჭირდეს, ხომ არ მივაკითხავდით სოციალურ სააგენტოს დახმარების თხოვნით. თუ ადამიანს სოციალური დახმარება არ მოეხსნება და თან ხელფასსაც აიღებს, ნორმალური პირობაა“. - ამბობს ორი შვილის დედა ნინო ბერიძე. აღსანიშნავია ისიც, რომ „სამხრეთის კარიბჭე“ მეტი ინფორმირებულობისთვის დაუკავშირდა სოციალური მომსახურების სააგენტოს სამცხე–ჯავახეთის სამხარეო ცენტრის უფროსს დავით გოგალაძეს, რომელსაც გადაეცა სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემები. ეს ფაქტი ადასტურებს წყაროთა ბალანსის არსებობას მოცემულ სტატიაში.

პირველწყაროებს დაუკავშირდნენ აგრეთვე მაშინ, როდესაც მკითხველამდე მიიტანეს სამცხე-ჯავახეთში სოციალურად დაუცველ პირთა მძიმე პირობებზე ორი ანალიტიკური სტატია. “ყოველ წუთს შეიძლება ნანგრევებში მოვყვეთ - სვირში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახი დახმარებას ითხოვს „ (ნუკა სტეფანაძე 19.07.2022) - სტატიაში რეგიონულმა მაუწყებელმა აღწერა სოციალურად დაუცველების მდგომარეობა და საზოგადოებამდე მიიტანა მათი კომენტარები. „სამხრეთის კარიბჭე“ დაუკავშირდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას და გადასცა არსებული მდგომარეობა. შესაბამისად, ეს კიდევ ის შემთხვევაა, როდესაც მედია თავად უკავშირდება უშუალოდ სოციალურად დაუცველებს და ამ საკითხთან დაკავშირებულ პირებსა თუ საჯარო უწყებებს. ანალოგიური შემთხვევას წავაწყდით სტატიაში - „სოციალური აგენტი მეუბნება, რომ ბავშვებს ჩამომართმევს – ბორჯომელი ქალი“ (ნუკა სტეფანაძე 07.10.2022). ამჯერად გამოცემა ჯერ სოციალურად დაუცველს, შემდეგ კი კითხვებზე პასუხის გასაცემად სოციალური მომსახურების სააგენტოს დაუკავშირდა. აღსანიშნავია, რომ ორივე სტატიაზე იმუშავა ერთმა ჟურნალისტმა. არის შემთხვევები, როდესაც სტატია წყაროთა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და მასში მთავრობის გადაწყვეტილებები სიტყვა-სიტყვით ან პერიფრაზით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ყველა სტატია, რომელშიც საუბარი იყო ფულად დახმარებაზე თუ სხვადასხვა შეღავათზე, ეყრდნობა მხოლოდ საჯარო უწყებების

მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. შესაბამისად, შეინიშნება ტენდეცია,როცა მაუწყებელი არათუ ეყრდნობა საჯარო დაწესებულებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს,არამედ ვებსაიტზე პირდაპირ გადმოაქვს ის ძირითადი ტექსტი,რომელიც კონკრეტულმა საჯარო დაწესებულებამ გამოქვეყნა.თუმცაღა მეტწილად დაცულია წყაროთა ბალანსი.

ტონი

კონტენტ-ანალიზმა აჩვენა, რომ სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გაშუქებისას „სამხრეთის კარიბჭე“ იყენებდა ნეიტრალურ ტონს, ჟურნალისტური მასალები დაცლილი იყო როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ტონისგან. საკვლევი პერიოდის განმავლობაში არ შეგვიმჩნევია ირიბად დადებითი ან უარყოფითი ტონი, აქ აბსოლუტური ნეიტრალობა იყო დაცული. მაგალითად, ერთ-ერთ ანალიტიკურ სტატიაში, რომელიც სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამას შეეხებოდა, რესპონდენტები იყო ჩაწერილი იმგვარად, რომ მასში თანაბრად იყო წარმოდგენილი იმ სოციალურად დაუცველთა კომენტარები, რომლებსაც მოსწონთ ან პირიქით, არ მოსწონთ აღნიშნულ პროგრამა. კომენტარები კი გაჯერებული იყო შესაბამისი არგუმენტაციით.

პროფესიული ეთიკა

ერთწლიანი საკვლევი პერიოდის განმავლობაში „სამხრეთის კარიბჭის“ მიერ გამოქვეყნებულ არცერთ პუბლიკაციაში არ შეინიშნა ეთიკური ნომრების დარღვევა. რეგიონული ონლაინგამოცემა იცავდა ობიექტურობას და არ შეულახავს არც ერთი სოციალურად დაუცველი პირის უფლება. მაგალითად, ეთიკური ნორმების აბსოლუტური დაცვით იყო გაშუქებული ბორჯომელი სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედის ისტორია, რომელსაც სოციალური აგენტი ბავშვის ჩამორთმევით ემუქრება. რეგიონულმა მაუწყებელმა უკანა პლანზე გადაიტანა ქალის პირადი ცხოვრების დეტალური განხილვა და ძირითადი აქცენტი მის ამჟამინდელ პრობლემებზე დასვა.

ძირითადი ტენდენციები

1.სოციალურად დაუცველ პირთა დადგენა

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გაშუქებისას მთავარი გმირები სწორედ სოციალურად დაუცველები არიან, „სამხრეთის კარიბჭე“ ანალიტიკურ მასალებს გვთავაზობდა ისე, რომ რომ ძირითადი ინფორმაცია თავად სოციალური დაუცველებისგან მიგვეღო. „სამხრეთის კარიბჭის“ წყაროებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა დადებით მახასიათებლამდე, რომ გამოცემა ცდილობს, კონკრეტული ამბავი გაიგოს ჯერ თავად სოციალურად დაუცველისგან, შემდეგ კი ეს ამბავი გადაამოწმოს კონკრეტულ სტრუქტურებთან. გარდა ამისა, დასახელებული ონლაინგამოცემა ცდილობს, რომ თავად მოიძიოს გმირები,რაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა მაგალითად, სტატიაში, რომელიც სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამას ეხებოდა, სადაც მედიამ 4 სოციალურად დაუცველი პიროვნება მოიძია და აღნიშნულ საკითხზე მათი კომენტარი მოისმინა. (“სოციალურად დაუცველები დასაქმების პროგრამაზე „ თემო ინასარიძე 11.04.2022) . ამავდროულად, მასალები, ფაქტობრივად, დაცლილია ტენდენციურობისგან.

2.სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმება, როგორც მთავარი მიზანი

სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამას ყველაზე მეტი - 6 სტატია მიეძღვნა „სამხრეთის კარიბჭის“ ვერბგვერდზე. მკითხველისთვის ონლაინგამოცემამ ინფორმაციის მიწოდება დაიწყო პროექტის შემოტანისთანავე და გზადაგზა აცნობდა სიახლეებს როგორც სამცხე - ჯავახეთში, აგრეთვე ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მასალები არამხოლოდ ნიუსურად, არამედ ანალიტიკური განხილვით მიეწოდებოდა მკითხველს. მაგალითად, “სამხრეთის კარიბჭე“ აღმოჩნდა ერთადერთი ონლაინგამოცემა ჩვენ მიერ ნაკვლევი გამოცემებიდან, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ისეთ თემებზე, როგორიც იყო: სოციალურად დაუცველთა დასაქმების პოზიციები, პროგრამაში ჩართვის მსურველთათვის შესაბამისი ინფორმაციული

დახმარების გაწევა - კერძოდ, ონლაინგამოცემა სტატიის ბოლოს ათავსებდა სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერს, სადაც მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაკავშირდებოდნენ წამომადგენლებს და მიეღოთ სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ. ამავდროულად, დასაქმების პროგრამის დაწყებიდან 8 თვის შემდეგ, რეგიონულმა გამომცემელმა შემოგვთავაზა სტატია სახელწოდებით - „8 თვეში სამცხე–ჯავახეთში 1 018 სოციალურად დაუცველი დასაქმდა“, რომელშიც დეტალურად იყო განხილული დასაქმებულთა საერთო რიცხვი რეგიონების მიხედვით და დასაქმების პოზიციები. იმის გათვალისწინებით, რომ „სამხრეთის კარიბჭე“ რეგიონული ონლაინგამოცემაა, უპირველესად, სწორედ მას შეუძლია სამცხე-ჯავახეთში არსებული მდგომარეობის მკითხველამდე მიტანა, რაც ამ შემთხვევაში ონლაინგამოცემამ შეძლო.

3. პროცესების ქრონოლოგიურად გაშუქება

ონლაინგამოცემაზე დაკვირვებით გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მედიასაშუალება ქრონოლოგიურად მიჰყვება ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების განვითარებას და ოპერატიულად, მოვლენების განვითარების კვალდაკვალ აწვდის ინფორმაციას მკითხველს. მაგალითისთვის, იმ პერიოდში არსებული ყველაზე მნიშნელოვანი სიახლე სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით რეგიონულმა მაუწყებელმა პროგრამის დაანონსებისთანავე გაავრცელა და ეტაპობრივად მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას არსებული სიახლეების შესახებ. 2022 წლის თებერვალში „სამხრეთის კარიბჭემ“ 3 სტატია გამოაქვეყნა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით და ერთი თვის შემდეგ მკითხველს შესთავაზა ანალიტიკური სტატია სათაურით - „სოცდაუცველი პირების დასაქმების პროგრამაში ერთ თვეში 2 900-მდე მოქალაქე ჩაერთო“(04.04.2022), რომელშიც განხილული იყო პროგრამის შედეგები ერთი თვის შემდეგ. პროგრამის შესახებ შედეგების გაცნობა ამით არ დასრულებულა- რეგიონულმა მაუწყებელმა 8 თვის შემდეგ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით - „8 თვეში სამცხე–ჯავახეთში 1 018 სოციალურად დაუცველი

დასაქმდა (08.11.2022)“, რომელშიც განიხილა სამცხე ჯავახეთში აღნიშნული პროგრამის დაწყებიდან 8 თვის განმავლობაში მიღებული შედეგები.

ფრეიმები

კოდების სახელმძღვანელო:

სოციალურად დაუცველთა მძიმე ყოფა- 5

რეგიონული ხელისუფლების ხელშეწყობა - 0

საქველმოქმედო განცხადება - 0

დაუცველთა ფულადი დახმარება - 5

დასაქმების პროგრამის ეფექტანობა - 4

4.3 „ბათუმელები“

„ბათუმელები“ ყოველდღიურად აშუქებს ახალ ამბებს ბათუმიდან და აჭარის მუნიციპალიტეტებიდან.სარედაქციო ჯგუფის მიზანია ფოკუსირება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა : ადამიანის უფლებები, სიღარიბე, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, ძალთა ბალანსი და ა.შ. ძველი ,,ბათუმელები'' ყოველკვირეული გამოცემა იყო, ახლა კი ინტერნეტსაიტზე ფუნქციონირებს.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში „ბათუმელებში“ სულ 18 მასალა მომზადდა სოციალურად დაუცველ პირთა შესახებ.

დიაგრამა 4.7. მასალის განაწილება თვეების მიხედვით



ჟანრი

„ბათუმელებში“ სოციალურად დაუცველთა შესახებ ჯამურად გამოქვეყნდა 18 ჟურნალისტური მასალა. „ბათუმელები“ წინა ორ რეგიონალურ მედიასაშუალებასთან შედარებით მეტად მრავალფეროვანია ჟანრობრივი თვალსაზრისით. აქ საკითხები

შუქდება არა მხოლოდ ნიუსურად, არამედ სიღრმისეულადაც. კერძოდ, ჟანრობრივი გადანაწილება შემდგნაირია - 7 ნიუსი, 6 ანალიტიკური სტატია, 3 პორტრეტი, 1 ბლოგ-პოსტი და 1 მიმოხილვა.

რეგიონული ონლაინმაუწყებელი ნიუსური ტიპის მასალებში მეტწილად ქვეყანაში მიმდინარე სიახლეებს აშუქებს სოციალურად დაუცველ პირთა კუთხით. მაგალითად, 3 ნიუსური სტატია მიეძღვნა სოციალურად დაუცველთად დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებულ სიახლეებს, ნიუსის ჟანრში შევიდა აგრეთვე სოციალურად დაცუველთა მიმართ მთავრობის მიერ დაწესებული პრივილეგიები და სხვა ზოგადი საკითხები.

სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა „ბათუმელებისთვისაც“ პრიორიტეტული აღმოჩნდა. ანალიტიკური ჟანრებით, უმეტესად გაშუქდა დასაქმების პროგრამასთან დაკავშრებული თემები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო როგორც სოციალურად დაუცველთა, აგრეთვე შესაბამის უწყებათა კომენტარები. ანალიტიკური სტატია მიეძღვნა აგრეთვე სკოლის მოსწავლე, სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარების საკითხს.

„ ბათუმელებმა“ სოციალურად დაუცველი პიროვნებებისა და ოჯახების შესახებ შემოგვთავაზა სამი პორტრეტი, რომელშიც შესაბამისი ციტატებითა და პერიფრაზით წარმოდგენილი იყო სოციალურად დაუცველთა მძიმე ყოფა, ლუკმა-პურისთვის შრომის მძიმე გზა და გადარჩენის გზები.

„ბათუმელებმა“ მიმოხილვის ჟანრით წარმოადგინა საკვლევი მასალა. მაგალითად, საქსტატის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელშიც პროცენტულად იყო წარმოდგენილი საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღებთა ოჯახების რაოდენობა. ბლოგ - პოსტში „შეძლებული ადამიანიც შეიძლება გაღარიბდეს – როგორ გვეხმარება სახელმწიფო სიღარიბის დაძლევაში“ იურისტი ესმა გუმბერიძე, რომელიც მუშაობს შშმ პირების უფლებების გაუმჯობესებაზე, სიღარიბის დაძლევის გზებზე საუბრობს. ავტორი არგუმენტირებულად ხსნის სხვაობას უნივერსალურ და მიზნობრივ

სოციალურ დახმარებას შორის. ბლოგ-პოსტით ავტორი შეეცადა ხაზი გაესვა, რომ აუცილებელია სოციალური დაცვის სხვადასხვა პროგრამა.

დიაგრამა 4.8 - ჟანრების განაწილება პროცენტულად



თემა

მასალათა თემატურმა გადანაწილებაც გვიჩვენა, რომ „ბათუმელებში“ , ისევე როგორც „სამხრეთის კარიბჭესა“ და „გურია NEW” - ში, საკვლევი პერიოდის განმავლობაში ყველაზე ხშირად სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამის შესახებ გამოქვეყნდა მასალა. თემატურად ყველაზე 6 სწორედ დასაქმების პროგრამას ეძღვნებოდა. პროგრამასთან დაკავშირებული მასალები ყველა კითხვას ეხმიანებოდა - სად დასაქმდებიან, რა პოზიციებზე, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დასაქმებული, რამდენია ანაზღაურება და ა.შ. რეგიონულ მაუწყებელს უყურადღებოდ არ დაუტოვებია აჭარაში სოციალურად დაუცველთა დასაქმების შესაძლებლობები. კერძოდ, მოცემულ საკითხზე მაუწყებელმა 2 ანალიტიკური სტატია გამოაქვეყნა - „დასაქმების სახელმწიფო პროგრამაზე მოქალაქეების რეგისტრაცია დაიწყო „ (ლელა

დუმბაძე 03.03.2022) და „სად დაასაქმებენ სოციალურად დაუცველებს – რას ამბობენ აჭარის სააგენტოებში“ (ლელა დუმბაძე - 17.02.2022) აღწერს დასაქმების პირობებს და სამუშაო ადგილებს აჭარის მუნიციპალიტეტში.

დასაქმების პროგრამის შემდეგ რეგიონულმა მაუწყებელმა ყურადღება თავად სოციალურად დაუცველ პირებს მიაქცია. ონლაინგამოცემა ამ მხრივ ცდილობს, აჩვენოს სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემები, ამ რამდენიმე მაგალითის დახმარებით აჩვენოს, რა მდგომარეობაა აჭარის მუნიციპალიტეტში. ამის მაგალითად ონლაინგამოცემამ ორი მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახი მოიყვანა, სადაც დეტალურადაა აღწერილი მათი ყოველდღიურობად ბრძოლა არსებობისთვის.

საერთო თემატური გადანაწილება ასეთია:

1.სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა- 6

2. ფულადი დახმარება და შეღავათები - 3

3.უსახლკაროდ დარჩენილი სოციალურად დაუცველი ოჯახები - 1

4.სოციალურად დაუცველი ბავშვები - 2

5.სოციალური საცხოვრისი - 0

6.ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა - 1

7.სტატისტიკური ანგარიში - 1

8. სოციალურად დაუცველები რეგიონიდან - 4

დიაგრამა 4.9. მასალის თემატური გადანაწილება



წყარო

„ბათუმელების“ მიერ გამოქვეყნებული მასალების წყაროებზე დაკვირვებით გამოიკვეთა „სამხრეთის კარიბჭეს“ იდენტური ტენდენცია. კერძოდ, „ბათუმელები“ არამხოლოდ კონკრეტული უწყებებს ან საჯარო პირების განცხადებებს ეყრდნობა სტატიის განთავსებისას, არამედ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც თავად ეძებს მთავარ გმირებს - ჩვენს შემთხვევაში სოციალურად დაუცველებს.

რეგიონულმა ონლაინგამოცემამ ყურადღება დაუთმო ბათუმში სოციალურად დაუცველი ოჯახების პრობლემის მიტანას მკითხველამდე. აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც „ბათუმელები“ არ დაკმაყოფილდა მხოლოდ პრობლემების მოსმენით, ის თავად დაუკავშირდა მერიას პასუხის მოსასმენად. კერძოდ, სტატიაში - „ 7-სულიანი ოჯახი სახიფათო სახლში – „სად ვნახო 800 ლარი

კონსტრუქტორის დასკვნისთვის?“ (ნანა კვაჭაძე - 24.11.2022), სოციალურად დაუცველ ირაკლი მსხალაძის პრობლემების გაცნობის შემდეგ, ჟურნალისტი თავად დაუკავშირდა ჩოხატაურის მერიას. წყაროთა ბალანსის შემთხვევა დაფიქსირდა სტატაში - „2 ბავშვი მყავს, უკვე გათბობაა საჭირო“ – სოციალურად დაუცველები ბათუმში შეშას ითხოვენ“ – (ჯაბა ანანიძე - 10.11.2022) , სადაც ჟურნალისტი ჯერ იმ სოციალურად დაუცველებს დაუკავშირდა, რომლებსაც კონკრეტული მოთხოვნა ჰქონდათ და შემდგომში ინფორმაცია ბათუმის მერიის პრესცენტრთან გადაამოწმა. რეგიონული მაუწყებელი ცდილობს, კონკრეტული შემთხვევების აღწერით რეგიონში არსებული ზოგადი ფონი წარმოადგინოს. მაგალითად, სტატია - „როგორ ხვდება 42 წლის ქალი 7 შვილთან ერთად ახალ წელს ხულოში“ (ნინო ართმელაძე - 28.12.2022) იწყება შემდეგი ტექსტით - „როგორია მრავალშვილიანი ოჯახის წინასაახალწლო მზადება, რა სურვილები აქვთ ბავშვებს და ამ სურვილების ახდენას თუ ახერხებენ მათთვის მშობლები?“, რომელიც მკითხველს წინასწარ ამზადებს, იმ ზოგადი სურათის შესახებ, რომელიც მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხება. მეტწილად, წყაროთა მრავალფეროვნებით იყო წარმოდგენილი სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის შესახებ განთავსებული სტატიები, რომლებშიც სამინისტროს ოფიციალურ განცხდებასთან ერთად ბათუმში არსებული ვითარებაც იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ანალიტიკურ სტატიაში - „სად დაასაქმებენ სოციალურად დაუცველებს – რას ამბობენ აჭარის სააგენტოებში“ (ლელა დუმბაძე - 17.02.2022) „ბათუმელები“ შეეცადა გაერკვია, რა პროცესები მიმდინარეობს აჭარაში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით და სად უპირებენ სოციალურად დაუცველებს დასაქმებას. ონლაინგამოცემა, უპირველესად, დაუკავშირდა სააგენტოს ხელმძღვანელ ვაჟა ფუტკარაძეს, შემდგომში კი დასაქმების სააგენტოს კონკრეტული კითხვებით, რომლებიც მკითხველს კონკრეტულ ინფორმაციას აცნობდა დასაქმების პროგრამის შესახებ.

„სამხრეთის კარიბჭის“ მსგავსად „ ბათუმელებში“ თავად სოციალურად დაუცველთა აზრი ვიხილეთ დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ

ონლაინგამოცემამაც ორმხრივად გააშუქა აღნიშნული საკითხი. წყაროებით დატვირთული აღმოჩნდა ანალიტიკურ სტატია- „300 ლარს მინისტრები 1 ნივთში იხდიან, ჩვენ თვეში ვიკმაროთ? – სოციალურად დაუცველები დასაქმების პროგრამაზე“ – (ლელა დუმბაძე 18.02.2022) რამდენად რეალურია მთავრობის პროგნოზი და რას ფიქრობენ სოციალურად დაუცველი ოჯახები ამ ინიციატივაზე - ამ კითხვით „ბათუმელები“ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ესაუბრა და სტატიაში 7 სოციალურად დაუცველ პირთა მოსაზრებას ვხვდებით. წყაროთა მრავალფეროვნება კი გვიქმნის არსებული პროგრამის შესახებ შესახებ.

ამდენად, ონლაინგამოცემა ,,ბათუმელების'' ვებსაიტზე განთავსებული მასალების შემთხვევაში წყაროთა განაწილება არის დაბალანსებული.

ტონი

ონლაინგამოცემა „ბათუმელები“ არსებითად ნეიტრალური ტონით აშუქებს სოციალურად დაუცველ პირთა საკითხებს.ამასთან მკვეთრად ჩანს,რომ მედიასაშუალების ჟურნალისტები კონკრეტულ საკითხებს სუბიექტური შეხედულებებისა და მოსაზრებების გარეშე აწვდიან საზოგადოებას.

მეტწილად, დადებითი ტონით გაშუქდა მადონა ფუტკარაძის, 9 შვილის დედის ისტორია. სტატია- „9 შვილის დედა: მდიდრები არა, მაგრამ ბედნიერები ვართ“ (მანანა ქველიაშვილი - 30.12.2022) ფინანსურ პრობლემებზე მეტად მათ გრძნობებზე, ოჯახურ სითბოსა და მომავლის იმედზეა საუბარი. „მადონას თქმით, მართალია, მათი ოჯახი მდიდარი არაა, მაგრამ ბედნიერები არიან.ცხოვრების ხალისს გაძლევს, როცა მრავალშვილიან ოჯახში ცხოვრობ“.

პროფესიული ეთიკა

,,ბათუმელების'' მიერ გამოქვეყნებულ არც ერთ პუბლიკაციაში არ დარღვეულა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. ონლაინგამოცემა უსმენს სახელმწიფო სტრუქტურებსაც და სოციალურად დაუცველებსაც. ცდილობს, პრობლემა წინა

პლანზე გადმოიტანოს და „ხალხის ხმა“ იყოს.სოციალურად დაუცველთა პორტრეტები მკითხველს მიეწოდა ეთიკის ნორმების სრული დაცვით.

ძირითადი ტენდენციები

1.ადგილობრივი პრობლემის სადარაჯოზე

„ბათუმელების“ საშუალებით მივიღეთ ინფორმაცია აჭარის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის შესახებ. „ბათუმელებმა“ „გურია NEW”- თან და „სამხრეთის კარიბჭისთან“ შედარებით გაგვაცნო მეტი სოციალურად დაუცველი რეგიონში, წინა პლანზე გადმოიტანა მათი პრობლემები. მხოლოდ ეს არაა - პრობლემის მოგვარებისთვის თავად დაუკავშირდა შესაბამის უწყებებს.

2. სტატიის გმირები ინფორმაციის წყაროებად

„ბათუმელების“ დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ონლაინგამოცემა ფოკუსირებულია ამბავი გააშუქოს ისე, რომ მასში არ ჩანდეს მხოლოდ შესაბამისი უწყების ან ოფიციალური სტურუქტურის კომენტარი, არამედ ინფორმაციას ვიგებდეთ თავად პირველწყაროსგან. მაგალითად, დასაქმების პროგრამის შესახებ ჩვენ ვიხილეთ კომენტარი არა მხოლოდ შეასაბამისი სააგენტოდან, არამედ გავეცანით თავად სოციალურად დაუცველ პირთა მოსაზრებებს, რომლებიც საკუთარი მდგომარეობის გათვალისწინებით აფასებდნენ აღნიშნულ პროგრამას.

3. სტატიის დანაწევრება მეტი კონკრეტიკისთვის

კვლევის პროცესში გამოიკვეთა დადებითი ტენდენცია, რომლის მიხედვით ჟურნალისტები ერთი თემის სხვადასხავა ასპექტს, სხვადასხვა ჟანრის მასალას უთმობენ. ამის მაგალითია დასაქმების პროგრამა, რომელიც რეგიონულმა ონლაინგამოცემამ დაანაწევრა და ამგვარად შესთავაზა მკითხველს პროგრამის ზოგადი ფონი და ორი ანალიტიკური სტატია მიუძღვნა აღნიშნული პროგრამასთან დაკავშირებით ბათუმში არსებულ მდგომარეობას. საკითხის დაკონკრეტებით

ვებგვერდის მკითხველს მიეწოდა დეტალური ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ.

ფრეიმები :

კოდების სახელმძღვანელო:

სოციალურად დაუცველთა მძიმე ყოფა- 7

რეგიონული ხელისუფლების ხელშეწყობა - 1

სოციალურად დაუცველ ბავშვთა მდგომარეობა -1

დაუცველთა ფულადი დახმარება - 5

დასაქმების პროგრამის ეფექტანობა - 4

ონლაინგამოცემამ ყველაზე მეტი - 7 სტატია დაუმთო სოციალურად დაუცველთა მძიმე მდგომარეობის აღწერას, რომელშიც იკითხებოდა მათი მძიმე პირობები და სტატიები ფოკუსირებული იყო მათი მდგომარეობის გაცნობაზე. გამოცემამ ასევე დიდი ყურადღება დაუთმო დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებულ სიახლეებს. კერძოდ, თავად დაუკავშირდა სოციალურად დაუცველებს და მკითხველს თავად დაუცველების აზრი გააცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

4.4 „გურია NEWS"- ის, „სამხრეთის კარიბჭის" და „ ბათუმელების" შედარებითი ანალიზი

ჩატარებული კონტენტ- ანალიზის შედეგად, ცხადია, რომ სოციალურად დაუცველ პირთა საკითხებს, სამივე რეგიონული ონლაინმედია განსხვავებულად აშუქებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ონლაინგამოცემები ცალკეულ საკითხებში განსხვავებულ ტენდენციებს ავლენენ. მკვეთრ განსხვავებას იძლევა წყაროებზე და ფრეიმებზე დაკვირვება, რასაც განაპირობებს ის, რომ „გურია NEWS"- ი ინფორმაციას იღებს ძირითადად შესაბამისი სააგენტოებისა და ოფიციალური პირებისგან.

შეიძლება ითქვას, რომ „გურია NEWS” -ის მასალები უფრო ზოგად ჭრილშია (საკანონმდებლო სიახლეები, სამინისტროში მიმდინარე პროცესები...) წარმოდგენილი. რაც შეეხება „ ბათუმელებსა“ და „სამხრეთის კარიბჭეს“ , ორივე მათგანში ინფორმაციის წყაროებად ძირითადად გვევლინებიან თავად სოციალურად დაუცველები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც კონკრეტულად განიხილავენ რეგიონში არსებულ მდგომარეობას ამ კუთხით. „ბათუმელებსა“ და „სამხრეთის კარიბჭეში“ შეინიშება სოციალურად დაუცველი კონკრეტული ადამიანების ისტორიების აღწერა. კონკრეტული ადამიანების ისტორიის გაცნობით კი განზოგადდდა აღნიშნული პრობლემა. რაც შეეხება ამ სამი გამოცემის ჟანრობრივ მსგავსება - განსხვავებას, აღმოჩნდა, რომ „ბათუმელები“ და სამხრეთის კარიბჭე“ მეტად დატვირთულია, ვიდრე „ გურია NEWS” – ი. კერძოდ, „გურია NEWS”-ი სოციალურად დაუცველ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად ნიუსურად, სიღრმისეული განხილვის და კერძო ისტორიების განხილვით აშუქებს. ამ უკანასკნელს, საკვლევი პერიოდის განმავლობაში, არც ერთი ინტერვიუ არ გამოუქვეყნებია. რაც შეეხება „ბათუმელებსა“ და სამხრეთის კარიბჭეს“, ნიუსებისა და ანალიტიკური სტატიების გარდა, აქ გვხვდება მიმოხილვები და კონკრეტული პიროვნებისა თუ ოჯახების პორტრეტები. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც რეგიონული მაუწყებლები თავად სტუმრობენ სოციალურად დაუცველებს, განიხილავენ მათ პრობლემებს და უფრო მეტიც, პრობლების გადაჭრის მიზნით თავად უკავშირდებიან იმ შესაბამის უწყებებს, რომლებსაც პრობლემის გადაჭრა ძალუძთ.

წყაროთა ბალანსისა და კომპეტენციის თვალსაზრისით, მოცემული სამ ონლაინგამოცემაში შეინიშნა. განსხვავებული ტენდენციები. იმის გათვალისწინებით, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში ‘’გურია NEWS”-ში სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების შესახებ გაშუქებული მასალების დიდი წილი(18 სტატია) ნიუსური სტილის იყო, ძირითადად ეყრდნობოდა იმ წყაროს, რომლისგანაც ჩვენ ვეცნობით ახალ ამბავს. რას შეეხება „ბათუმელებსა“ და „სამხერთის კარიბჭეს“, ამ ორ ონლაინგამოცემაში მეტწილად ერთნაირი ტენდენცია გამოიკვეთა. მართალია,

ჟანრობრივი თვალსაზრისით აქაც რაოდებრივად მეტი ნიუსური ტიპის სტატიაა, თუმცაღა ძირითადად სტატიები შედარებით ამომწურავად პასუხობდა მკითხველის ინტერესებს. გამოცემა ნიუსის ფორმატში გამოქვეყნებულ მასალებშიც კი ცდილობდა დაბალანსებული, რამდენიმე წყაროთი გამყარებული ჟურნალისტური პროდუქტი მიეწოდებინა მკითხველისთვის. ეს ტენდენცია შედარებით ნაკლებად გამოიკვეთა „გურია NEWS"-ში. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მედია თავად არის პირველწყარო, გვევლინება მკვლევრის როლში. „სამხრეთის კარიბჭეს" წყაროებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა დადებით მახასიათებლამდე, რომ გამოცემა ცდილობს, კონკრეტული ამბავი გაიგოს ჯერ თავად სოციალურად დაუცველისგან, შემდეგ კი ეს ამბავი გადაამოწმოს კონკრეტულ სტრუქტურებთან. მსგავი ტენდენცია შეინიშნა „ბათუმელებშიც". რეგიონულმა ონლაინგამოცემამ ყურადღება დაუთმო ბათუმში სოციალურად დაუცველი ოჯახების პრობლემის მიტანას მკითხველამდე.

აღსანიშნავია, რომ სამივე გამოცემის მასალათა აბსოლუტური უმრავლესობა ნეიტრალური ტონით იყო გაშუქებული. არც ერთ სტატიაში არ გამოკვეთილა, რომ მკვეთრად დაირღვა სოციალური საკითხების გაშუქების ეთიკური სტანდარტი.

რაოდენობრივი თვალსაზრისით, სამივე ონლაინგამოცემაში, მეტწილად, ნიუსის ტიპის სტატიებია წარმოდგენილი. ანალიტიკური სტატიები უფრო ხშირად გვხვდება „ბათუმელებსა" და „სამხრეთის კარიბჭეში", რომლებშიც თითქმის ერთი და იგივე რაოდენობის ანალიტიკური სტატიაა. ანალიტიკური სტატიების ძალზე მცირე რაოდენობა დაფიქსირდა „გურია NEWS" -ში, სადაც ერთწლიანი საკვლევი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 2 ანალიტიკური განხილვა აღმოვაჩინეთ. ონლაინგამოცემებში სამინისტროს წარმომადგენელთა პოზიციის გარდა აგრეთვე წარმოდგენილი იყო თავად იმ ადამიანების შეხედულებები, რომლებსაც ეს კონკრეტული საკითხი ეხებოდათ. ამის მიუხედავად, სამივე ონლაინგამოცემაში გამოკვეთილი იყო თემები, რომლებიც საჭიროებდა ანალიტიკურ, სიღრმისეულ

განხილვას, თუმცა თვალსაჩინო იყო ანალიტიკური ჟურნალისტიკური პროდუქტების დეფიციტი.

რაც შეეხება თემის ქრონოლოგიურად გაშუქების პრინციპს, აღსანიშნავია, რომ სამივე ონლაინგამოცემა ცდილობდა, აქტუალური საკითხის ირგვლივ შეენარჩუნებინა ინფორმაციული უწყვეტობა. გზადაგზა მკითხველისთვის მიეწოდებინა განახლებული ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ეს ტენდენცია გამოვლინდა მაგალითად, სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით, როდესაც სამივე მედიასაშუალებამ სხვადასხვა ჟანრის სტატია შემოგვთავაზა იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებდა აღნიშნული პროგრამა და ფუნქციონირების პარალელურად წარმოგვიდგინა განახლებული სტატისტიკა. რაც შეეხება თემატურ გადანაწილებას, სამივე რეგიონულ ონლაინგამოცემაში მკვეთრად განსხავავებული თემატურობა არ შეინიშნა. ისინი ძირითადად მსგავს თემებს განსხავებული ჟანრით წარმოგვიდგენენ, როგორებიცაა მაგალითად, სოციალურად დაუცველ პირთა დახმარების საკითხი, დასაქმების პროგრამა და ა.შ.

4.5. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები

სიღრმისეული ინტერვიუ მიზნად ისახავდა რეგიონული მედიის წარმომადგენლებისგან, მედიაექსპერტებისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენლებისგან მეტი ინფორმაცია მიგვეღო აღნიშნული საკითხის შესახებ.

სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქებას ყველა რესპოდენტი უმნიშვნელოვანესად აფასებს. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მდივნის, ანა არევაძეს შეფასებით, რეგიონული მედია უნდა იყოს სწორედ ის წყარო, რომელიც რეგიონში არსებულ რთულ მდგომარეობას ავლენს. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია არის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება, რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების

მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ვებ-გვერდი)

რეგიონის გარდა, ეთიკის საბჭოს მდივანი განსაკუთრებულ მნიშნელობას საზოგადოებრივ მაუწყებელს ანიჭებს, რომელიც ფინანსდება ქვეყნის ბიუჯეტიდან და მისი ვალდებულებაა ორმაგად დიდი ყურადღება მიაქციოს სოციალურ საკითხებს და მათზე ჰქონდეს ფოკუსი. როგორც ანა არევაძე ჩვენთან საუბრისას ამბობს, სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქებისას ხშირად ხდება, როდესაც ქარტიის პირველი და მეშვიდე პრინციპი ირღვევა, რომლის მიხედვითაც, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ და ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ, ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით. კითხვაზე, ხომ არ ახსენდება მოცემული პრინციპების დარღვევის კონკრეტული შემთხვევა სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების დროს, ანა არევაძე იხსენებს გადაწყვეტილებას საქმეზე - ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველო გურამ როგავას, ეკა ფხაკაძის, ირაკლი ვაჩიბერაძის, ნინა მაჩაბელის და ლიზა ლასარეიშვილის წინააღმდეგ, რომელშიც გამოვლინდა აშკარა სტიგმის გაძლიერება სოციალურად დაუცველ პირთა მიმართ, როდესაც განცხადებელი აღნიშნავდა, რომ „ფორმულას“ ეთერში მედიასაშუალებამ სოციალურ სტატუსზე საუბრით ხელი შეუწყო სტიგმის კიდევ უფრო გაძლიერებას იმის შესახებ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მხოლოდ და მხოლოდ სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ ოჯახში ხდება. ტელეკომპანია „ფორმულას” სიუჟეტში ნათქვამია: „თუმცა არსებობს კიდევ სხვა ვერსია. ეს ვერსია ეხება იმას, რომ ქალმა მძიმე მდგომარეობის გამო სცადა თვითმკვლელობა. მეზობლები გვეუბნებიან, რომ ეს არის სოციალურად დაუცველი ოჯახი“. (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ვებ-გვერდი)

როგორც ანა არევაძე აღნიშნავს, მისი სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე, საჯარო უწყებები ხშირად მედიასაშუალებებისთვის ჩაკეტილია, ხშირად ხდება, რომ მედია ვერ იღებს კითხვებზე პასუხს, თუმცა ეს ხელს არ უნდა უშლიდეს ჟურნალისტს, აუცილებლად მიმართოს საჯარო უწყებას, მინუმუმ ჰქონდეს მცდელობა მაშინ, როცა საქმე ისეთ მნიშვნელოვან თემას ეხება, როგორიცაა სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობა საქართველოში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრმა, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნათია კუპრაშვილმა კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა რეგიონული მედიის როლს სოციალურად დაუცველ პირთა გაშუქების კუთხით, გვითხრა, რომ, სამწუხაროდ, თავად რეგიონული მედია ასეთი სოციალურად დაუცველი არასდროს ყოფილა. ის, რომ რეგიონული მედია ვეღარ მიდის ადამიანამდე, არის გამოწვეული მისი უკიდურესი სიღარიბით და ასეთი მდგომარეობა პანდემიამ და პანდემიის პერიოდულად განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გამოიწვია. „ყველა დასკვნაში იმას წაიკითხავთ, რომ რეგიონულ მედიას ძველად ჰქონდა დღის წესრიგში ადამიანების პრობლემების გაშუქება, მაგრამ იმდენად სოციალურად დაუცველი გახდა თვითონ მედია, რომ წასასვლელი ფული აღარ აქვს ადამიანამდე. მათ იციან პრობლემა, მაგარამ ვერ მიდიან სოფლამდე“. ნათია კუპრაშვილი ძირითად მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებს. მისი აზრით, სამივე საკვლევი რეგიონული მედიას რომ ჰქონდეს საშუალება, უკეთ გააშუქებდა ამ თემას.

კითხვაზე, თუ რატომ არის რეგიონული მედიისთვის სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქება აუცილებელი, ნათია კუპრაშვილი პასუხობს, რომ რეგიონული მედია ვერ იარსებებს განვითარებული საზოგადოების გარეშე. ეს სიღარიბე გამოწვეულია ადგილობრივი ჯგუფების სიღარიბითაც: „თუკი გაქვს განვითარებული რეგიონი და გვყავს განვითარებული მოქალაქე და ნაკლები

სოციალურად დაუცველი, აუცილებლად იქ იქნება ძლიერი ადგილობრივი მედია. ეს საკითხები ერთმანეთზე გადაჯაჭვულია. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გაგვეზარდა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა და ამავდროულად გაიზარდა რეგიონული მედიის სიდუხჭირე, ეს არის ერთმანეთთან კავშირში. ერთმანეთის გარეშე ეს ორი ფიზიკურად ვერ იარსებებს“.

კითხვაზე, თუ რაში ხედავს გამოსავალს, ნათია კუპრაშვილი საკანონმდებლო ცვლილებების მობრუნებას ასახელებს: „ერთადერთი, რამაც შეიძლება გადაგვარჩინოს არის, მოვახდინოთ უკან საკანონმდებლო ცვლილებების მობრუნება.მას შემდეგ, რაც შეიცვალა კანონი 2015 წელს საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით და საზმაუს მიეცა რეკლამის გაყიდვის საშუალება, თანხების არასწორად ნაწილდება. ჩვენი ანგარიშით ეს ასე ხდება.

კითხვაზე, თუ რა რეკომენდაციები აქვთ სოციალურად დაუცველ პირთა გაშუქების კუთხით, ანა არევაძესა და ნათია კუპრაშვილი დაახლოებით ერთსა და იმავე საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი აზრით, თითოეული ადამიანის პრობლემა უნდა განზოგადდეს პრობლემის ჭრილში - რატომ დგას ეს პრობლემა, რა შეიძლება მოვიქმედოთ, რა ნიბიჯი უნდა გადაიდგას ადგილობრივი მთავრობის მხრივ, რამდენი ასეთი დაუცველია. პრობლემა უამრავია, მაგრამ მისი სწორი წარმოჩენითა და საკითხის დასმით იწყება მოგვარება.

სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების საკითხებთან დაკავშირებით მივმართეთ საკვლევი ონლაინგამოცემის - „გურია NEWS”-ის ჟურნალისტს გიორგი გირკელიძეს. მისი თქმით, რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური პრობლემების გაშუქება.აღნიშნული პოზიციის გასამყარებლად კი მოჰყავს შემდეგი არგუმენტი: სოციალური დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქება ხელს უწყობს,რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა,პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღონ ზუსტი ინფორმაცია, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით

რეგიონში, როგორ ცხოვრობენ და რა საჭიროებები გააჩნიათ ამ პირებს. ონლაინგამოცემა „გურია NEWS“-ი აშუქებს გურიის მხარის სამივე მუნიციპალიტეტის - ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის - სოციალურ დაუცველი პირების შესახებ საკითხებს. ჟურნალისტის განმარტებით, ძირითადი საკითხები,რომლებზეც სოციალურ დაუცველი პირების საკითხების გაშუქებისას ყურადღებას ამახვილებენ, არის: ეხმარება თუ არა მათ სახელმწიფო, რა პროგრამებია გათვალისწინებული მუნიციპალურ ბიუჯეტებში ამ კუთხით, როგორ ცხოვრობენ, და რა პრობლემები აქვთ ამ პირებს. ჟურნალისტმა გაიხსენა,რომ კოვიდპანდემიის პერიოდში მათ მიერ გაშუქებულ იქნა ბავშვებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემები.გაშუქების მიზანი არა ვინმეს დაკნინება ან შეურაცხყოფა,არამედ არსებული პრობლემების წარმოჩენა იყო. თავად ჟურნალისტმაც დაადასტურა ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი პრობლემები ონალინგამოცემების კუთხით, მათ შორის ადამიანური რესურსების სიმცირე და ფინანსური გამოწვევები. აქვე დასძინა: „ ასეთ ფინანსურ მდგომარეობაში სოციალური საკითხების გაშუქება გმირობის ტოლფასია“.

იგივე პათოსს იზიარებს ყოველკვირეულ ჟურნალ „ჩემი ხარაგაულის“ დამფუძნებელი და ამავე სახელწოდებით 2011 წლიდან ფუნქციონირებადი ონლაინგამოცემის რედაქტორი ლაურა გოგოლაძე .მანაც მთავარ პრობლემად დაასახელა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ფინანსური პრობლემები, და აქედან გამომდინარე , გაუშუქებელი სოციალური საკითხები.კითხვაზე, ახსენდება თუ არა შემთხვევა,როცა სურვილის მიუხედავად არ ან ვერ გააშუქეს სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემები, იგი აცხადებს, რომ საქმიანობის დროს იყო შემთხვევები,როდესაც გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქება სურდათ,თუმცა არასაკმარისი რესურსის გამო ვერ მოახერხეს საკითხის მკითხველამდე მიტანა. „ჩვენი გამოცემა არ იღებს ბიუჯეტიდან დაფინანსებას, ჩვენი ძირითადი დამფინანსებელი არის თავად მკითხველი და ეს აუცილებელ ხარჯებს გვიფარავს, მაგრამ ყოველთვის არ გვაქვს საშუალება, შორ გზაზე გადავაადგილდეთ“.

დასკვნა

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო დასახელებულ კითხვებზე პასუხების გაცემა და შესაბამისად, ჰიპოთეზის დადასტურება ან უარყოფა. ჩვენ მიერ განხორციელებულმა კონტენტ-ანალიზმა, გამოყენებულმა ლიტერატურამ და კონკრეტულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა მოგვცა შესაძლებლობა გაგვეანალიზებინა სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების თავისებურებანი რეგიონულ მედიაში, მედიის როლი და ჩართულობა სოციალურად დაუცველთა პრობლემების აქტუალიზაციაში. რამდენად განსხავდებოდა ან პირიქით - ემსგავსებოდა დასახელებული სამი რეგიონული მედიის მიერ პრობლემური საკითხების გაშუქება და ამის პარალელურად, რამდენად ხედავს მედია სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქებას, როგორც მნიშვნელოვან საკითხს, სხვა სოციალური პრობლემების მოგვარების პარალელურად.

კონკრეტული სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით დადგინდა,რომ გამოკითხულები იზიარებენ საერთო პოზიციას სოციალური საკითხების გაშუქების პრობლემატიკასთან დაკავშირებით და ამ კუთხით ძირითად ტენდენციურ პრობლებად დაასახელეს კადრების ნაკლებობა და მწვავე ფინანსური გამოწვევები. გამოკითხულები ერთხმად აღნიშნავენ,რომ სოციალურად დაუცველი პირთა პრობლემების გაშუქება სოციალური სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს და ამ ნაწილში მედიას ფუნდამენტური როლი აკისრია.

დასახელებული სამივე რეგიონული მედია, ფაქტობრივად, თანაბარ ყურადღებას უთმობს სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გაშუქებას, რისი თქმის საშუალებასაც საკვლევი ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოქვეყნებული მასალები იძლევა. თუმცაღა თემატური მრავალფეროვნებით და ინფორმაციის მასშტაბურობით ისინი განსხვავდებიან. საკვლევ სამივე მედიაში გაშუქებული მასალების რაოდენობა დიდი არ არის

(ჯამურად 52), რაც ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქება აქტიურად არ ხდება. დასახელებული პრობლემის გაშუქება მხოლოდ მაშინ ხდება,როცა სახეზეა რაიმე შემთხვევა ან საკანონმდებლო სიახლე იჩენს თავს.ამის საპირწონედ გააზრებულ უნდა იქნეს,რომ სოციალურად დაუცველებს არაერთი პრობლემა აქვთ და ამ პრობლემის დღის წერიგში გადმოტანა და აქტუალიზაცია იქნება გადადგმული ნაბიჯი პრობლემების აღმოფხვრის გზაზე.

ანალიტიკურ ჟანრში წარმოდგენილი მასალები აერთიანებს საერთო პრობლემას. სამივე რეგიონულმა გამოცემამ ანალიტიკური სტატიები ძირითადად ერთ-დასაქმების პროგრამას მიუძღვნა. მაგალითად, „გურია NEWS” - ს ერთწლიანი საკვლევი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 2 ანალიტიკური სტატიიდან, ორივე დასაქმების პროგრამაზე შემოგვთავაზა და სხვა სიღრმისეული ანალიზი რეგიონში (და არამხოლოდ) არსებულ პრობლემებზე, ვერ ვიხილეთ. მასალები, რომლებიც დაცლილია რამდენიმე სოციალური პრობლემის გაერთიანებისგან, შუქდება ნიუსის სახით. ამას დამატებულია ის ფაქტი, რომ სამივე მედიაგამოცემამ სოციალურად დაუცველ პირთა შესახებ ინფორმაცია ძირითადად ახალი ამბების ჟანრში გააშუქა. ამდენად, არ დასტურდება ჰიპოთეზა,რომ საკვლევი მედია თემას წარმოაჩენს სრულფასოვნად და სიღრმისეულად.

საკვლევი ონლაინგამოცემები არსებითად იცავენ ეთიკურ სტანდარტებს. არც ერთ პუბლიკაციაში მკვეთრად არ დარღვეულა მედიის მიერ სოციალური საკითხების გაშუქების ეთიკური სტანდარტი. შესაბამისად, ჰიპოთეზა, რომ მედია სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების დროს არღვევს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს არ დადასტურდა. უდავოა,რომ ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვა კონკრეტული საკთხის გაშუქებისას არსებითად მნიშვნელოვანია,თუმცაღა ხარვეზები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მნიშვნელოვნად ამცირებს მათი ჟურნალისტური პროდუქციის ხარისხსა და ღირებულებას.

რეკომენდაციები

1.**ინფორმაციის მიღება სოციალურად დაუცველისგან**

არის შემთხვევები, როდესაც შესაბამისი უწყებები პროცესებს ისე წარმოაჩენენ, თითქოს სოციალურად დაუცველების მდგომარეობა გაუმჯობესდა ან მათი პრობლემები მოგვარდა, თუმცაღა შესაძლოა სოციალურად დაუცველები სულ სხვა რეალობის წინაშე იდგნენ. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს მეორე მხარეს, რათა მასალა მკითხველს მიეწოდოს ბალანსის სრული დაცვით.

2.მოპოვებული საინფორმაციო წყაროს მაქსიმალური გამოყენება

საინფორმაციო წყაროს მოპოვება ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს მასალის სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზისთვის. წყაროს მოძიების შემდეგ კი აუცილებელია დეტალური ინფორმაციის მიღება, რათა მკითხველს სტატიის გაცნობის შემდეგ არ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები.

3. რეგიონების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალიზაცია

რეგიონული ონლაინგამოცემები დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ თავად რეგიონში არსებულ მდგომარეობას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც სოციალურად დაუცველთა რიცხვი დედაქალაქთან შედარებით მეტია. რეგიონული მედია უნდა იყოს აღნიშნული პროგრამის სადარაჯოზე, იყოს ხმა იმ სოციალურად დაუცველებისა, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ, რადგან პრობლემის გაცნობა არის პირველი გადადგმული ნაბიჯი შემდგომში მისი მოგვარებისთვის.

4. უფრო აქტიური მუშაობა სოციალურ თემებზე ინდივიდუალურად და საკუთარი ინიციატივით

სოციალურად დაუცველთა პრობლემები დღის წესრიგში გადმუდმებით დგას, რადგან ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. იმისთვის, რომ პრობლემები ხილული იყოს, აუცილებელია მედიასაშუალებებმა ყურადღება დაუთმონ ცალკეულ შემთხვევებს და პრობლემის წარმოჩენით

წარმოადგინონ ქვეყანაში არსებული ზოგადი ფონი. ამისთვის კი მათ საკუთარი ინიციატივით უნდა მიაწვდინონ ხმა მთავარ გმირებს, ინდივიდუალურად იმუშაონ ინდივიდუალურ პრობლემებზე

5. მეტი ანალიტიკა

ნიუსური ტიპის მასალის მიწოდება მკითხველისთვის მნიშნელოვანია, რადგან მას სურს იყო უახლესი ინფორმაციის ეპიცენტრში. თუმცაღა საკითხის სიღრმისული ანალიზისთვის აუცილებელია არსებობა ანალიტიკური სტატიებისა, რომლებიც მკითხველს საშუალებას მისცემს, უკეთ გაერკვეს სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემებში. კარგი იქნება, ონლაინგამოცემები მეტ ყურადღებას უთმობდნენ თემათა ანალიზს. უფრო ხშირად მიმართავდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლებსა და სუბიექტებს, დაბალანსებულად, წყაროების მრავალფეროვნებით აწვდიდნენ მასალას მკითხველს.

გამოყენებული ლიტერატურა

გზირიშვილი დავით, დამოუკიდებელი საქართველო - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სიტემები; თბილისი 2012 წ.

კაკულია მ., კაპანაძე ნ., ქურხული ლ.,2017 https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13977.pdf

კევლიშვილი,ნ., საჯაია, ნ., (2011). სოციალური და ეკონომიკური საკითხების გაშუქება მედიაში. UNDP Georgia

კოვაჩი, ბ.,როზენსტილი, ტ., (2001). ჟურნალისტიკის ელემენტები. New-York : Crown Publishers.

მახარაძე, ია (2014), „თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტიები“

მსხილაძე, ქეთი (2011), ,,სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში''. http://eurocommunicator.ge/mdf/uploads/Socialuri_tematika_sainformacio_gamoshvebebshi.pdf

ნამიჭეიშვილი,სალომე (2014), „უსახლკარობისა და სოციალური საცხოვრებლის შესახებ“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო https://nbe.gov.ge/

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (ბოლო ნახვა: 23.06.2023)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ქეთევან ერემაძის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1998

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022წ https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია https://www.qartia.ge/qartia

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7 (ბოლო ნახვა: 20.06.2023)

ცისკარიშვილი ოლიკო (2017), ჟურნალისტის გზამკვლევი სოციალური საკითხები გაშუქებში, თბილისი,;

ჯორბენაძე ს,. ბახტაძე,. მაჭავარიანი, ,,მედიასამართალი'', სახელმძღვანელო დაიბეჭდა გამომცემლობაში ,,ქოროლი'', თბილისი 2014 წელი. გვ: 117-118 თავი VI

Mass communication theory, Framing Theory https://masscommtheory.com/theory-overviews/framingtheory/?fbclid=IwAR2ZCTmGfe1SSJBrHQ6Dld-37-gkq5DceaQL1Pr7RjWklS-ADkZDaDaAPNI (ბოლო ნახვა: 22.06.2023)

Robinson,F., Else,R., Sherlock,M and Zass-Ogilcie,I (2009). ,,Poverty in the media“ file:///C:/Users/User/Downloads/poverty-in-the-media.pdf

დანართი 1 :

ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს მდივანთან და საქართველოს რეგიონული საბჭოს აღმასრულებელ დირექტორთან გაგზავნილი კითხვარი :

1. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად აშუქებს მედია სოციალურად დაიცველ პირთა პრობლემებს და ამ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს?
2. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით გამოიკვეთა, რომ რეგიონული მედიები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოციალურად დაუცველ პირთა საკითხების გაშუქებას. თქვენი აზრით, რატომ ხდება, რომ სოციალური საკითხები ხშირად დღის წესრიგში არ დგას?
3. რა შეიძლება იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები, რის გამოც რეგიონული მედიები ვერ ამზადებენ აღნიშნულ საკითხზე სიღრმისეულ მასალებს?
4. რა რეკომედაციები გაქვთ სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქების კუთხით?

დანართი 2 :

„გურია NEWS" - ის ჟურნალისტთან და „ჩემი ხარაგაულის" დამფუძნებელთან გაგზავნილი კითხვარი

1. თქვენი აზრით, რა როლი აქვს რეგიონულ მედიას სოციალურად დაუცველთა საკითხების გაშუქებაში?
2. რა არის ის ძირითადი საკითხები, რაზეც ამახვილებთ ყურადღებას სოციალურად დაუცველ პირთა პრობლემების გაშუქებისას?

3. არის რაიმე ფაქტორი, რაც ხელს გიშლი საკითხის სიღრმისეულად გაშუქებაში?

4. როგორც რეგიონული მედიის წარმომადგენლები, რაში ხედავთ გამოსავალს?